პროგრამას აქვს შემდეგი სახე:

```
//////////////////////////////////////
// პროგრამა: 2 სტრიქონს შორის უდიდესის
//                პოვნა
//////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
string max2String(string , string );
int main(){
  string a, b;
  cout << "SemoitaneT 2 striqoni : ";
  cin >> a >> b;
  string max = max2String(a, b);
  cout << "udidesia " << max << endl;
  system("PAUSE");
  return 0;
}
string max2String(string x, string y){
```

```
  return x > y ? x : y;
}
```

დავალება: შეასრულეთ პროგრამა სხვადასხვა a და b სტრიქონებისთვის.

ამოცანა 3: დაწერეთ ფუნქცია, რომლის პარამეტრი არის სტრიქონი. ფუნქციამ უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა იგი პალინდრომს. სტრიქონი არის პალონდრომი, თუ ის ერთნაირად იკითხება როგორც მარჯვნიდან მარცხნივ, ისე მარცხნიდან მარჯვნივ. მაგალითად, ANNA – სტრიქონი-პალინდრომია. გამოიყენეთ ფუნქცია კლავიატურიდან შემოტანილი სტრიქონისთვის და დაბეჭდეთ შედეგი.

პროგრამის სახე შემდეგია:

```
//////////////////////////////////////////
// პროგრამა: სტრიქონსთვის დადგენა, არის თუ
//              არა იგი პალინდრომი
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
bool Palindrom(string );
int main(){
  string S; bool p;
  cout << "Enter string\n";
  getline(cin, S);
  p = Palindrom(S);
  if( p ) cout << "Is Palindrom" << endl;
  else  cout << "Is't Palindrom" << endl;
  system("pause");
  return 0;
}
bool Palindrom(string K){
   int i, len;
   len = K.size();
   for(i=0; i<len/2; i++)
     if(K[i] != K[len-1-i])
        return false;
   return true;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა სხვადასხვა სტრიქონებისათვის, მაგალითად, ai ia, level, Ai Ia.

ბ) ახსენით Palindrom ფუნქციის ალგორითმი.

ამოცანა 4: ქვემოთ მოყვანილ პროგრამაში S სტრიქონის შებრუნებისთვის გამოიყენება C++ -ის სტანდარტული string კლასის ალგორითმი reverse:

```
//////////////////////////////////////////
// პროგრამა: სტრიქონის შებრუნება
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
#include <algorithm>
using namespace std;
int main(){
  string S ="Bjarne Stroustrup";
  reverse(S.begin(), S.end());
```

```
  cout << S << endl;
  //system("pause");
  return 0;
}
```

დავალება:

ა) გაეცანით კოდს, შეასრულეთ პროგრამა S სტრიქონის სხვადასხვა მნიშვნელობისთვის;

ბ) გამოიყენეთ ალგორითმი reverse იმის დასადგენად, წარმოადგენს თუ არა კლავიატურიდან შეტანილი S სტრიქონი პალინდრომს.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვის 2 სიმბოლოდან უდიდესს. ეს სიმბოლოები ფუნქციის პარამეტრებია. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში კლავიატურიდან შემოტანილი 2 სიმბოლოსთვის და დაბეჭდეთ მათ შორის უდიდესი.

2. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც იპოვის 2 ნამდვილი რიცხვიდან უდიდესს. ეს რიცხვები ფუნქციის პარამეტრებია. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში კლავიატურიდან შემოტანილი 2 ნამდვილი რიცხვისთვის და დაბეჭდეთ მათ შორის უდიდესი.

3. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოითვლის ნატურალური N რიცხვის ციფრთა ჯამს. გამოიძახეთ ფუნქცია main-ში კლავიატურიდან შეტანილი N რიცხვის ციფრთა ჯამის დასადგენად. მიღებული შედეგი დაბეჭდეთ.

გაარჩიეთ შესაბამისი პროგრამა:

```
#include <iostream>
using namespace std;
int DigitsSum(int );
int main(){
   int number, sum;
   cin>>number;
   sum = DigitsSum(number);
   cout << "Digits sum of " << number
        << " = " << sum << endl;
   system("pause");
   return 0;
}
int DigitsSum(int N){
   int s =0;
   while(N != 0){
     s += N%10;
     N /= 10;
   }
   return s;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა სხვადასხვა ნატურალური რიცხვისთვის.

ბ) ახსენით DigitsSum ფუნქციის ალგორითმი

გ) შეცვალეთ ფუნქციაში while(N != 0) სტრიქონი while(N) –ით, კვლავ შეასრულეთ პროგრამა და ახსენით შედეგი.

4*. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს, წარმოადგენს თუ არა ნატურალური m რიცხვი პალინდრომს. რიცხვი არის პალინდრომი, თუ ის ერთნაირად იკითხება როგორც მარცხნიდან მარჯვნივ ისე მარჯვნიდან მარცხნივ. მაგალითად, 12321 – პალინდრომია.

5.* დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს არის თუ არა ნატურალური N რიცხვი ავტომორფული. რიცხვი არის ავტომორფული, თუ მისი კვადრატის ჩანაწერი ბოლოვდება ამავე რიცხვით. მაგალითად, 5, 6, 25 და ა.შ. – ავტომორფული რიცხვებია.

6*. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს არის თუ არა ნატურალური m რიცხვი სრულყოფილი. რიცხვი არის სრულყოფილი, თუ ის უდრის ყველა თავისი გამყოფის ჯამს, გარდა თავის თავისა. მაგალითად, რიცხვი 6 – სრულყოფილია, ვინაიდან 6=1+2+3.

7*. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს არის თუ არა ნატურალური N რიცხვი მარტივი.

8. ფიბონაჩის რიცხვები განისაზღვრება შემდეგი წესით: $F_0 = F_1 = 1$, $F_n = F_{n-1} + F_{n-2}$, თუ $n \geq 2$. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც ჩაწერს ვექტორში პირველ K ფიბონაჩის რიცხვს და შემდეგ დაბეჭდავს ვექტორს.

გაარჩიეთ შესაბამისი C++– პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
void Fibonacci_numbers(int );
int main(){
   int K;
   cout << "ShemoitaneT ricxvebis raodenoba : ";
   cin >> K;
   cout << "\nFibonachis pirveli " << K << " ricxvia\n\n";
   Fibonacci_numbers(K);
   system("pause");
   return 0;
}
void Fibonacci_numbers(int K){
  vector<int> F(K);
  F[0] = F[1] = 1;
  for(int i=2; i<K; i++)
     F[i] = F[i-1] + F[i-2];
  for(int i=0; i<K; i++)
     cout << F[i] << ' ';
  cout << endl;
}
```

დავალება:

ა) გაუშვით პროგრამა შესრულებაზე და შეიტანეთ ფიბონაჩის რიცხვების რაოდენობად 15. დარწმუნდით, რომ პროგრამამ დაბეჭდა:

```
Fibonachis pirveli 15 ricxvia
1 1 2 3 5 8 13 21 34 55 89 144 233 377 610
```

ბ) შეასრულეთ პროგრამა K –ს სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის.

9. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც:
   ა) იპოვის ფიბონაჩის მე-20 რიცხვს;
   ბ) იპოვის ფიბონაჩის N –ურ რიცხვს. N ფუნქციის პარამეტრია;
   გ) გამოითვლის ისეთი ფიბონაჩის რიცხვების ჯამს, რომლებიც არ აღემატება M –ს. M ფუნქციის პარამეტრია.

10. შექმენით ფუნქცია `void draw(int M);` რომელიც ერთ სტრიქონად გამოიტანს ეკრანზე M ცალ:
    ა) '*'-ს; ბ) '+'-ს; გ) '-'-ს; დ) სლეშს.

პრაქტიკული მეცადინეობა № 8

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- ფუნქციების გადატვირთვა
- ფუნქციები `insert` და `erase`
- ცვლადის მისამართის „აღება“, მისამართით ცვლადის მნიშვნელობის „აღდგენა“.

მასალა დამოუკიდებლად გაცნობისათვის:

1. გადატვირთული ფუნქციების ნიმუშები

№	ფუნქცია	ფუნქციის გამოძახება - main()-ის ფრაგმენტი

1	/*ფუნქცია ადგენს არის თუ არა რიცხვი დადებითი */
	bool IsPositive(int K){
	return K > 0;
	}
	bool IsPositive(double K){
	return K > 0;
	}
		int main(){
		int a =10, b =-30;
		double c =-2.5, d =0.0956;
		cout<<boolalpha
		<<a<<" is positive? "<<IsPositive(a)
		<<endl<<b<<" is positive? "<<IsPositive(b)
		<<endl<<c<<" is positive? "<<IsPositive(c)
		<<endl<<d<<" is positive? "<<IsPositive(d)
		<<endl;
		. . .
		}

2	/* ფუნქცია პოულობს რიცხვის მოდულს */
	int my_abs(int x){
	return x < 0 ? -x : x;
	}
	double my_abs(double x){
	return x < 0 ? -x : x;
	}
		int main(){
		int a =-17; double d =20;
		cout<<a<<" -is moduli aris "
		<<my_abs(a)<<endl
		<<d<<" -is moduli aris "
		<<my_abs(d)<<endl;
		. . .
		}

3	/* ფუნქცია პოულობს ორი რიცხვიდან უმცირესს */
	int myMin(int x, int y){
	return x < y ? x : y;
	}
	double myMin(double x,
	double y){
	return x < y ? x : y;
	}
		int main(){
		int a =123, b =39;
		double c =-1.75, d =0.48;
		cout<<a<<" da "<<b
		<<" -s Soris umciresia "
		<<myMin(a, b)<<endl
		<<c<<" da "<<d
		<<" -s Soris umciresia "
		<<myMin(c, d)<<endl;
		. . .
		}

4	/* ფუნქცია ითვლის რიცხვის კვადრატს */
	int square(int a){
	return a * a;
	}
	double square(double a){
	return a * a;
	}
		int main(){
		int x =11;
		double y =-0.7;
		cout<<x<<" -is kvadrati udris "
		<<square(x)<<endl
		<<y<<" -is kvadrati udris "
		<<square(y)<<endl;
		. . .
		}

5	/* ფუნქცია ითვლის ორი რიცხვის საშუალოს */
	double average(int n,int m){
	return (n + m)/2.;
	}
		int main(){
		int a =23, b =12;
		double c =5.5, d =2.25;
		cout<<a<<" da "<<b
		<<" risxvebis saSualo = "
		<<average(a, b)<<endl

```
double average(double n,
               double m){
   return (n + m)/2;
}
```

```
        <<c<<" da "<<d
        <<" risxvebis saSualo = "
        <<average(c, d)<<endl;
  . . .
}
```

2. ზოგიერთი სტანდარტული ფუნქციის გამოყენება ვექტორთან

№	ფუნქციის გამოძახება	ფუნქციის მუშაობის შედეგი

1	`int main(){`
	`  vector<int> v;`
	`  . . .`
	`//ვექტორის პირველ ელემენტად 7 –ის ჩასმა`
	`  v.insert(v.begin(),7);`
	`  . . .`
	`}`
		`//თავდაპირველი ვექტორი`
		`56 -37 302 47 0 300 -1 89`
		`//insert ფუნქციის მუშაობის შემდეგ`
		`7 56 -37 302 47 0 300 -1 89`

2	`int main(){`
	`  vector<int> V;`
	`  . . .`
	`/*ვექტორის მეოთხე (ინდექსით 3) ელემენტად 100–ის ჩასმა */`
	`  V.insert(V.begin()+3,100);`
	`  . . .`
	`}`
		`//თავდაპირველი ვექტორი`
		`56 -37 302 47 0 300 -1 89`
		`//insert ფუნქციის მუშაობის შემდეგ`
		`56 -37 302 100 47 0 300 -1 89`

3	`int main(){`
	`  vector<int> A;`
	`  . . .`
	`//ვექტორის შუა ელემენტად 200–ის ჩასმა`
	`A.insert(A.begin()+A.size()/2,200);`
	`  . . .`
	`}`
		`//თავდაპირველი ვექტორი`
		`56 -37 30 47 0 35 -1 89`
		`//insert ფუნქციის მუშაობის შემდეგ`
		`56 -37 30 47 200 0 35 -1 89`

4	`int main(){`
	`  vector<int> v;`
	`  . . .`
	`//ვექტორის პირველი ელემენტის წაშლა`
	`  v.erase(v.begin());`
	`  . . .`
	`}`
		`//თავდაპირველი ვექტორი`
		`56 -37 30 47 0 35 -1 89`
		`// erase ფუნქციის მუშაობის შემდეგ`
		`-37 30 47 0 35 -1 89`

5	`int main(){`
	`  vector<int> v;`
	`  . . .`
	`/*ვექტორის მეოთხე (ინდექსით 3) ელემენტის წაშლა */`
	`  v.erase(v.begin()+3);`
	`  . . .`
	`}`
		`//თავდაპირველი ვექტორი`
		`56 -37 30 47 0 35 -1 89`
		`// erase ფუნქციის მუშაობის შემდეგ`
		`56 -37 30 0 35 -1 89`

6	`int main(){`
	`  vector<int> v;`
	`  . . .`
	`//ვექტორის შუა ელემენტის წაშლა`
	`v.erase (v.begin()+v.size()/2);`
	`  . . .`
	`}`
		`//თავდაპირველი ვექტორი`
		`7 -14 30 15 -9 35 -1 56 0`
		`// erase ფუნქციის მუშაობის შემდეგ`
		`7 -14 30 15 35 -1 56 0`

საუდიტორიო სამუშაო:

1. გადატვირთეთ ფუნქცია Max, რომელიც დააბრუნებს რამდენიმე ცვლადს შორის უდიდესს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში 2 მთელი რიცხვისთვის, 3 ნამდვილი რიცხვისთვის, 2 სტრიქონისთვის და 3 სიმბოლოსთვის და დაბეჭდეთ მათ შორის უდიდესი.

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
int Max(int , int );
double Max(double , double , double );
string Max(string, string);
char Max(char , char , char );
int main(){
  int n =45, m =-7;
  double a =3.65, b =75.123, c = -3.143;
  char p ='F', q ='K', u = ',';
  string s1 ="C++ ena", s2 ="C ena";
  cout<<n<<" da "<<m<<" -s Soris udidesia: "
      << Max(n, m) << endl
      << a <<  ", " << b << " da "<< c <<" -s Soris udidesia: "
      << Max(a, b, c) << endl
      << p << ", " << q << " da "<< u << " -s Soris udidesia: "
      <<Max(p, q, u)<<endl
      << s1 << " da "<< s2 << " -s Soris udidesia: "
      << Max(s1, s2)<<endl;
  return 0;
}
int Max(int x, int y){
  return x > y ? x : y;
}
double Max(double x, double y, double z){
  double max = x;
  if(max < y)  max = y;
  if(max < z)  max = z;
  return max;
}
string Max(string x, string y){
  return x > y ? x : y;
}
char Max(char x, char y, char z){
  double max = x;
  if(max < y)  max = y;
  if(max < z)  max = z;
  return max;
}
```

პროგრამა დაბეჭდავს:

```
45 da -7 -s Soris udidesia: 45
3.65, 75.123 da -3.143 -s Soris udidesia:
75.123
F, K da , -s Soris udidesia: K
C++ ena da C ena -s Soris udidesia: C++ ena
Press any key to continue . . .
```

2. data.txt ფაილი შეიცავს მთელ რიცხვებს. ჩაწერეთ ისინი სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში და შემდეგ ჩასვით ვექტორის პირველ ელემენტად რიცხვი 49.

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void printVector(vector<int> );
```

```
int main(){
  vector<int> V;
  int number;
  ifstream fin("data.txt");
  while(fin>>number)
     V.push_back(number);
  printVector(V);
  V.insert(V.begin(),49);
  printVector(V);
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

data.txt ფაილი	გამოსატანი ეკრანი
56 -37 202 0 300 -1 89	56 -37 202 0 300 -1 89 49 56 -37 202 0 300 -1 89 Press any key to continue . . .

3. ქვემოთ მოყვანილი პროგრამები გვიბეჭდავენ სხვადასხვა ტიპის ცვლადების მისამართებს და ამ მისამართებზე განთავსებულ მნიშვნელობებს.

ა)

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  int N =38;
  cout<<"Address of N (in hexodecimal) = "<<&N<<endl
      <<"Address of N (in decimal) = "<<(int)&N<<endl
      <<"Value of N = "<<N<<endl
      <<"Value of N = "<<*(&N)<<endl<<endl;
  int K =123;
  cout<<"Address of K = "<<(int)&K<<endl
      <<"Previous address = "<<(int)(&K - 1)<<endl
      <<"Next address = "<<(int)(&K + 1)<<endl
      <<"Next next address = "<<(int)(&K + 2)<<endl;
  cout<<"int tipi ikavebs "<<sizeof(int)<<" baits\n";
  cout<<"int tipi ikavebs "<<sizeof(N)<<" baits\n";
  system("PAUSE");
  return 0;
}
```

პროგრამა დაბეჭდავს:

```
Address of N (in hexodecimal) = 0012FF60
Address of N (in decimal) = 1245024
Value of N = 38
Value of N = 38

Address of K = 1245012
Previous address = 1245008
Next address = 1245016
Next next address = 1245020
int tipi ikavebs 4 baits
int tipi ikavebs 4 baits
Press any key to continue . . .
```

ბ)

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  double D = 0.00748;
  cout<<"Address of D = "<<(int)&D<<endl
      <<"Value of D = "<<D<<endl
      <<"Value of D = "<<*(&D)<<endl;
  double Q =1.00987;
  cout<<"\nAddress of Q = "<<(int)&Q<<endl
      <<"Previous address = "<<(int)(&Q - 1)<<endl
      <<"Next address = "<<(int)(&Q + 1)<<endl
      <<"Next next address = "<<(int)(&Q + 2)<<endl;
  cout<<"double tipi ikavebs "<<sizeof(double)<<" baits\n";
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Address of D = 2293616
Value of D = 0.00748
Value of D = 0.00748

Address of Q = 2293608
Previous address = 2293600
Next address = 2293616
Next next address = 2293624
double tipi ikavebs 8 baits
Press any key to continue . . .
```

გ)

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  char C ='M';
  cout<<"Address of C = "<<(int)&C<<endl
      <<"Value of C = "<<C<<endl
      <<"Value of C = "<<*(&C)<<endl;
  char P ='J';
  cout<<"\nAddress of P = "<<(int)&P<<endl
      <<"Previous address = "<<(int)(&P - 1)<<endl
      <<"Next address = "<<(int)(&P + 1)<<endl
      <<"Next next address = "<<(int)(&P + 2)<<endl;
  cout<<"char tipi ikavebs "<<sizeof(C)<<" baits\n";
  return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Address of C = 2293623
Value of C = M
Value of C = M

Address of P = 2293622
Previous address = 2293621
Next address = 2293623
Next address = 2293624
char tipi ikavebs 1 baits
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. გადატვირთეთ ფუნქცია MIN, რომელიც დაადგენს 2 ცვლადიდან უმცირესს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში 2 მთელი რიცხვისთვის, 2 ნამდვილი რიცხვისთვის, 2 სტრიქონისთვის და 2 სიმბოლოსთვის და დაბეჭდეთ შესაბამის ცვლადებს შორის უმცირესი.

2. გადატვირთეთ ფუნქცია min, რომელიც დაადგენს 3 ცვლადიდან უმცირესს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში 3 მთელი რიცხვისთვის, 3 ნამდვილი რიცხვისთვის, 3 სტრიქონისთვის და 3 სიმბოლოსთვის და დაბეჭდეთ შესაბამის ცვლადებს შორის უმცირესი.

3. გადატვირთეთ ფუნქცია MAX, რომელიც დაადგენს 3 ცვლადიდან უდიდესს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში 3 მთელი რიცხვისთვის, 3 ნამდვილი რიცხვისთვის, 3 სტრიქონისთვის და 3 სიმბოლოსთვის და დაბეჭდეთ შესაბამის ცვლადებს შორის უდიდესი.

4. გადატვირთეთ ფუნქცია neg, რომელიც დააბრუნებს რიცხვის მოპირდაპირე მნიშვნელობას. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში მთელი რიცხვისთვის, ნამდვილი რიცხვისთვის.

5. ყურადღებით გაარჩიეთ ამოცანა შემდეგი პირობით:
   გადატვირთეთ ფუნქცია Mult, ანუ შექმენით მისი 3 ვერსია:
   ა) ფუნქცია ბეჭდავს 2 ნამდვილი რიცხვის ნამრავლს;
   ბ) ფუნქცია ითვლის 3 მთელი რიცხვის ნამრავლს;
   გ) ფუნქცია ითვლის სტრიქონის 2-ჯერ გაზრდილ სიგრძეს.
   გამოიყენეთ ფუნქციები ძირითად პროგრამაში სათანადო მონაცემებისთვის.

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
void Mult(double ,double );
int Mult(int ,int ,int );
int Mult(string );
int main(){
   int a, b, c;
   double f, t;
   string s;
   cout<<"Enter string:\n";
   getline(cin, s);
   cout<<"The doubled length of a string = "
       <<Mult(s)<<endl<<endl;
   cout<<"Enter 3 integers:\n";
   cin>>a>>b>>c;
   cout<<"Product of 3 integers = "
       <<Mult(a, b, c)<<endl;
   cout<<"\nEnter 2 reals:\n";
   cin>>f>>t;
   cout<<"Product of 2 reals = ";
   Mult(f, t);
   return 0;
}
void Mult(double a, double b){
   cout<<a*b<<endl;
}
int Mult(int a, int b, int c){
   return a*b*c;
}
int Mult(string k){
   return 2*k.size();
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Enter string:
I'm string
The doubled length of a string = 20

Enter 3 integers:
12 5 3
```

```
Product of 3 integers = 180

Enter 2 reals:
1.2 4.0
Product of 2 reals = 4.8

Press any key to continue . . .
```

დავალება: შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე კლავიატურიდან შემავალი სხვადასხვა მონაცემებისთვის და დარწმუნდით მის სისწორეში. ***დაიმახსოვრეთ:*** C++ -ში შესაძლებელია ისეთი ფუნქციების გადატვირთვა, რომელთა ალგორითმები განსხვავდებიან.

6. Reals.txt ფაილი შეიცავს ნამდვილ რიცხვებს. ჩაწერეთ ისინი სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში და შემდეგ ჩასვით ვექტორის მეორე (ინდექსით 1) ელემენტად რიცხვი -0.72.

7. ამოცანის პირობაა: numbers.txt ფაილი შეიცავს მთელ რიცხვებს. ჩაწერეთ ისინი სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში და შემდეგ ჩასვით ვექტორის ბოლოსწინა ელემენტად რიცხვი 120.
გაარჩიეთ შესაბამისი C++ –ის პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void printVector(vector<int> );
int main(){
  vector<int> V;
  int number;
  ifstream fin("data.txt");
  while(fin>>number)
     V.push_back(number);
  printVector(V);
  V.insert(V.end()-1,120);
  printVector(V);
  system("PAUSE");
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

numbers.txt ფაილი	გამოსატანი ეკრანი
7 -14 30 15 -9 35 -1 56 0	7 -14 30 15 -9 35 -1 56 0 7 -14 30 15 -9 35 -1 56 120 0 Press any key to continue . . .

8. ამოცანის პირობაა: sorted.txt ფაილი შეიცავს ზრდადობით დალაგებულ მთელ რიცხვებს. ჩაწერეთ ეს რიცხვები სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში და შემდეგ ჩასვით ვექტორში კლავიატურიდან შემოტანილი მთელი რიცხვი ისე, რომ დალაგება არ დაირღვეს.
გაარჩიეთ შესაბამისი C++ –ის პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void printVector(vector<int> );
```

```
int main(){
  vector<int> v;
  int num;
  ifstream ifs("sorted.txt");
   while(ifs>>num)
     v.push_back(num);
  printVector(v);
  int ins;
  cout<<"Enter insert number : ";
  cin>>ins;
  if(ins > v[v.size()-1])v.push_back(ins);
  else
  {
    int i =0;
    while(ins > v[i]) i++;
    v.insert( v.begin()+ i, ins );
  }
  printVector(v);
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების ერთ-ერთი შედეგია:

sorted.txt ფაილი	გამოსატანი ეკრანი
-7 -5 1 3 5 7 9	-7 -5 1 3 5 7 9 Enter insert number : -10 -10 -7 -5 1 3 5 7 9 Press any key to continue . . .

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე სხვადასხვა ჩასასმელი მთელი რიცხვისთვის და დარწმუნდით პროგრამის სისწორეში;

ბ) ახსენით ელემენტის ჩასმის ალგორითმი.

9. ამოცანის პირობაა: ვექტორში ნამდვილი რიცხვებია. წაშალეთ ვექტორის ბოლო ელემენტი. რიცხვები ვექტორში შეიტანეთ `reals.info` ფაილიდან.
გაარჩიეთ შესაბამისი C++ –ის პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void printVector(vector<double> );
int main(){
  vector<double> D;
  double number;
  ifstream ifs("reals.info");
   while(ifs>>number)
     D.push_back(number);
  printVector(D);
  D.erase(D.end()-1);
  printVector(D);
  system("PAUSE");
  return 0;
}
```

```
void printVector(vector<double> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

reals.info ფაილი	გამოსატანი ეკრანი
0.05 -3.24 53.75 1 -0.94	0.05 -3.24 53.75 1 -0.94 0.05 -3.24 53.75 1 Press any key to continue . . .

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე და ახსენით შეტყობინება

```
D.erase(D.end()-1);
```

ბ) შეცვალეთ იგი შემდეგით:

```
D.pop_back();
```

და ისევ შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე. გააანალიზეთ მიღებული შედეგი.

10. შემოიტანეთ კლავიატურიდან 20 მთელი რიცხვი და ჩაწერეთ სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში. შემდეგ წაშალეთ ვექტორის რიგით მე-15 ელემენტი და დაბეჭდეთ ვექტორი.

11. ამოცანის პირობაა: reals.dat ფაილი შეიცავს ნამდვილ რიცხვებს. ჩაწერეთ ისინი სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში და შემდეგ წაშალეთ კლავიატურიდან შემოტანილი ნამდვილი რიცხვის ტოლი ვექტორის ელემენტი. თუ ასეთი ელემენტი ვექტორში არ არის, დაბეჭდეთ შესაბამისი გზავნილი.

გაარჩიეთ შესაბამისი C++ –ის პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void printVector(vector<double> );
int main(){
  vector<double> v;
  double num;
  ifstream ifs("reals.dat");
   while(ifs>>num)
     v.push_back(num);
  printVector(v);
  double del;
  cout<<"Enter number to delete: ";
  cin>>del;
  int i;
  for(i=0; i<v.size(); i++)
     if(v[i] == del) break;
  if(i == v.size())
    cout<<"vector not contains this number\n";
  else{
    v.erase( v.begin()+ i );
    printVector(v);
  }
  return 0;
}
void printVector(vector<double> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
```

```
    cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების ერთ-ერთი შედეგია:

reals.dat ფაილი	გამოსატანი ეკრანი
1.2 -0.03 2.5 0.056 12.45	1.2 -0.03 2.5 0.056 12.45 Enter deleted number : 1.2 -0.03 2.5 0.056 12.45 Press any key to continue . . .

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე სხვადასხვა წასაშლელი ნამდვილი რიცხვისთვის და დარწმუნდით პროგრამის სისწორეში;

ბ) ახსენით ელემენტის წაშლის ალგორითმი.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 8

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- ვექტორის გარკვეული თვისების ელემენტებს შორის უდიდესის და უმცირესის დადგენა

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: ვექტორში მთელი რიცხვებია, მათ შორის 3-ის ჯერადებიც. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის 3-ის ჯერად ელემენტებს შორის უდიდესის ინდექსს. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში კლავიატურიდან შევსებული ვექტორისთვის და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი.

პროგრამის სახე შემდეგია:

```
//////////////////////////////////////////
// პროგრამა: ვექტორის 3-ის ჯერად ელემენტებს
//           შორის უდიდესის ინდექსის პოვნა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int maxIndex(vector<int> );
int main(){
  vector<int> A;
  int number;
  while(cin>>number)
     A.push_back(number);
  int index = maxIndex(A);
  cout<<index<<'\t'<<A[index]<<endl;
  return 0;
}
int maxIndex(vector<int> x){
  int i, index;
  for(i=0; i<x.size(); ++i)
    if(x[i]%3 == 0) break;
  index = i;
  for(i++; i<x.size(); ++i)
    if(x[i]%3 == 0 && x[i] > x[index])
       index = i;
  return index;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა რამდენჯერმე სხვადასხვა მთელ რიცხვთა მიმდევრობისთვის;
ბ) ახსენით `maxIndex` ფუნქციის ალგორითმი.

ამოცანა 2: ვექტორში ნამდვილი რიცხვებია, მათ შორის 200-ზე მეტი რიცხვებიც. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის 200-ზე მეტ ელემენტებს შორის უმცირესის ინდექსს. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში კლავიატურიდან შევსებული ვექტორისთვის და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი.

პროგრამის სახე შემდეგია:

```
//////////////////////////////////////////
// პროგრამა: ვექტორის 200-ზე მეტ ელემენტებს
//           შორის უმცირესის ინდექსის პოვნა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
```

```
#include <vector>
using namespace std;
bool property(double );
int minIndex(vector<double> );
int main(){
  vector<double> A;
  double number;
  while(cin>>number)
     A.push_back(number);
  int index = minIndex(A);
  cout<<index<<'\t'<<A[index]<<endl;
  return 0;
}
bool property(double d){
   return d > 200;
}
int minIndex(vector<double> x){
  int i, index;
  for(i=0; i<x.size(); ++i)
    if( property(x[i]) ) break;
  index = i;
  for(i++; i<x.size(); ++i)
    if(x[i] > 200 && x[i] < x[index])
       index = i;
  return index;
}
```

დავალება:

ა) შეასრულეთ პროგრამა რამდენჯერმე სხვადასხვა ნამდვილ რიცხვთა მიმდევრობისთვის;

ბ) ახსენით `minIndex` ფუნქციის ალგორითმი.

ამოცანა 3: `sentence.dat` ფაილი შეიცავს სტუდენტების სახელებს. ინფორმაცია ფაილიდან ჩაწერეთ სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში. დაწერეთ ფუნქცია, რომელის დაადგენს, არის თუ ვექტორში სახელი `Anna`. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში და დაბეჭდეთ შესაბამისი გზავნილი.

პროგრამის სახე შემდეგია:

```
//////////////////////////////////////////
// პროგრამა: სტრიქონების ვექტორში მოცემული
//                 სიტყვის ძებნა
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
#include <string>
#include <vector>
using namespace std;
void printVector(vector<string> );
bool contains(vector<string> );
int main(){
  vector<string> S;
  string word;
  ifstream ifs("sentence.dat");
  while(ifs>>word)
     S.push_back(word);
  printVector(S);
  if ( contains(S) )
    cout<<"Name \"Anna\" is in file\n";
  else
    cout<<"File not contains name \"Anna\"\n";
```

```
  return 0;
}
void printVector(vector<string> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
bool contains(vector<string> x){
  for(int i=0; i<x.size(); ++i)
     if(x[i] == "Anna") return true;
  return false;
}
```

დავალება:

ა) შექმენით ფაილი `sentence.dat` და ჩაწერეთ მასში სახელები;
ბ) შეასრულეთ პროგრამა, როდესაც ფაილში სახელი `Anna` არის და როდესაც არ არის და დააკვირდით შედეგებს;
გ) ახსენით `contains` ფუნქციის ალგორითმი.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. ვექტორში მთელი რიცხვებია, მათ შორის ლუწებიც. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის ლუწ ელემენტებს შორის უდიდესის ინდექსს. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში კლავიატურიდან შევსებული ვექტორისთვის და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი.

2. ვექტორში მთელი რიცხვებია, მათ შორის 7-ის ჯერადებიც. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის 7-ის ჯერად ელემენტებს შორის უმცირესის ინდექსს. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში კლავიატურიდან შევსებული ვექტორისთვის და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი.

3. ვექტორში მთელი რიცხვებია, მათ შორის კენტებიც. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის კენტ ელემენტებს შორის უმცირესის ინდექსს. რიცხვები ვექტორში ჩაწერეთ `ints.dat` ფაილიდან. გამოიყენეთ ფუნქცია და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი.

4. ვექტორში ნამდვილი რიცხვებია, მათ შორის 25-ზე მეტი რიცხვებიც. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის 25-ზე მეტ ელემენტებს შორის უმცირესის ინდექსს. რიცხვები ვექტორში ჩაწერეთ `data.in` ფაილიდან. გამოიყენეთ ფუნქცია და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი.

5. `words.txt` ფაილი შეიცავს სიტყვებს. ინფორმაცია ფაილიდან ჩაწერეთ სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში. დაწერეთ ფუნქცია, რომელის დაადგენს, არის თუ არა ვექტორში სიტყვა `student`. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში და დაბეჭდეთ შესაბამისი გზავნილი.

6. `words.in` ფაილი შეიცავს სიტყვებს. ინფორმაცია ფაილიდან ჩაწერეთ სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში. დაწერეთ ფუნქცია, რომელის წაშლის ვექტორიდან სიტყვას `war`. თუ ასეთი სიტყვა ვექტორში არ არის, დაბეჭდავს შესაბამის გზავნილს. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში და დაბეჭდეთ ვექტორი.

7. `Words.info` ფაილი შეიცავს ზრდადობით დალაგებულ სიტყვებს. ინფორმაცია ფაილიდან ჩაწერეთ სათანადო სპეციფიკაციის ვექტორში. დაწერეთ ფუნქცია, რომელის ჩასვამს ვექტორში სიტყვას `Peace` ისე, რომ სიტყვების დალაგება არ დაირღვეს. გამოიყენეთ ფუნქცია `main`-ში და დაბეჭდეთ ვექტორი.

8. ვექტორში მთელი რიცხვებია. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის 3-ის ჯერად ელემენტებს შორის უდიდესის ინდექსს. თუ 3-ის ჯერადი რიცხვები ფაილში არ არის, ფუნქცია დააბრუნებს -1 -ს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში კლავიატურიდან შევსებული ვექტორისთვის და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი, ან გზავნილი ფაილში 3-ის ჯერადი რიცხვების არარსებობის შესახებ.

გაარჩიეთ შათანადო C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int specialMax(vector<int> );
int main(){
  vector<int> A;
  int number;
  while(cin>>number)
     A.push_back(number);
  int index = specialMax(A);
  if(index != -1)
     cout<<index<<'\t'<<A[index]<<endl;
  else cout<<"VeqtorSi 3 -is jeradi ricxvebi"
             " ar aris\n";
  system("PAUSE");
  return 0;
}
int specialMax(vector<int> x){
  int i, index;
  for(i=0; i<x.size(); ++i)
    if(x[i]%3 == 0) break;
  if(i == x.size()) return -1;
  index = i;
  for(i++; i<x.size(); ++i)
    if(x[i]%3 == 0 && x[i] > x[index])
       index = i;
  return index;
}
```

9. ვექტორში ნამდვილი რიცხვებია. შექმენით ფუნქცია, რომელიც იპოვეთ ვექტორის 180-ზე ნაკლებ ელემენტებს შორის უდიდესის ინდექსს. თუ 180-ზე ნაკლები რიცხვები ფაილში არ არის, ფუნქცია დააბრუნებს -1 -ს. გამოიყენეთ ფუნქცია main-ში კლავიატურიდან შევსებული ვექტორისთვის და დაბეჭდეთ ნაპოვნი ინდექსი და შესაბამისი რიცხვი, ან სათანადო გზავნილი.

პრაქტიკული მეცადინეობა № 9

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- პოინტერი. მოქმედებები პოინტერზე
- ფუნქციის პარამეტრი/არგუმენტი - პოინტერი
- ფუნქცია `srand`

მასალა დამოუკიდებლად გაცნობისათვის:

1. პოინტერის გამოყენების მარტივი მაგალითები

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int n =179;`
	`// განაცხადი მთელი ტიპის p პოინტერზე`
	`int *p;  // იგივეა, რაც int* p;`
	`p = &n;`
	`cout<<*p<<endl;`
		`179`

2	`double a =12.5407;`
	`double *k;`
	`k = &a;`
	`cout<<*k <<endl;`
		`12.5407`

3	`char sym = '?';`
	`char* ptr = &sym;`
	`cout<<*ptr<<endl;`
		`?`

4	`int n = -48;`
	`/* განაცხადი მთელი ტიპის t პოინტერზე და მისი ინიციალიზება n ცვლადის მისამართით */`
	`int* t = &n;`
	`/* სინტაქსურად აგრეთვე სწორია`
	`int *t = &n; */`
	`cout<<*t<<endl;`
		`-48`

5	`float y = 4.25;`
	`float* p = &y;`
	`*p = 0.78;`
	`cout<<y<<endl;`
		`0.78`

6	`char s = 65;`
	`char* ptr = &s;`
	`cout<<*ptr<<' '<<(int)*ptr<<endl;`
		`A 65`

7	`int c = 100;`
	`int *k;`
	`k = &c;`
	`cout<<(int)k<<' '<<k`
	`<<' '<<*k<<endl;`
		`/* c -ს მისამართი დაიბეჭდა როგორც მთელი რიცხვი და როგორც თექვსმეტობითი რიცხვი, შემდეგ დაიბეჭდა c -ს მნიშვნელობა*/`
		`1310560  0013FF60  100`

8	`int b = 50;`
	`int* q = &b;`
	`cout<<*q<<' '<<*q+5<<endl;`
		`50 55`

9	`float t = 35.9;`
	`float *m;`
	`m = &t;`
	`cout<<(int)m<<endl<<*m-1<<endl;`
		`2293620`
		`34.9`

10	`char ch = 'E';`
	`char* k = &ch;`
	`cout<<(int)k<<' '<<*k<<endl;`
		`2293625 E`

11	`double d = 0.75E7;`
	`double* q = &d;`
	`cout<<*q/25<<endl<<(int)q<<endl;`
		300000
		2293616

12	`int k = -37;`
	`int* t = &k;`
	`cout<<*t+1<<' '<<int(t)`
	`<<' '<<int(t+1)<<endl;`
		/* დაიბეჭდა k-ს 1-თით გაზრდილი მნიშვნელობა, k-ს მისამართი და მისი მომდევნო მისამართი */
		-36 2293620 2293624

2. ფუნქცია `srand(x)` განსაზღვრავს `rand()`-ის მიერ გენერირებულ პირველ ფსევდოშემთხვევით რიცხვს. `x` არგუმენტი არის **`unsigned int`** ტიპის. ხშირად ეს ფუნქცია გამოიყენება იმისთვის, რომ სხვადასხვა ჯერზე გაშვების დროს პროგრამამ შეძლოს ფსევდოშემთხვევითი რიცხვების **სხვადასხვა** მიმდევრობის მიღება. ამისათვის ამ მიმდევრობის გენერაციამდე უნდა გამოვიძახოთ `srand(x)` ფუნქცია პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობით. ხშირად პარამეტრად გამოიყენება სისტემის კალენდარული დროის მიმდინარე მნიშვნელობა `time(NULL)`. `srand` ფუნქციაზე განაცხადი მოცემულია `stdlib.h` ფაილში.

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`srand(0);`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
		38
		7719
		21238

2	`srand(1);`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
		41
		18467
		6334

3	`srand(157);`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
		551
		24051
		7865

4	`srand(time(NULL));`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
		30956
		13975
		5745

5	`// იგივე ფრაგმენტი შესრულდა 10 წუთის შემდეგ`
	`srand(time(NULL));`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
	`cout<<rand()<<endl;`
		31263
		8517
		13809

სააუდიტორიო სამუშაო:

1. რა შეცდომას შეიცავს შემდეგი ფრაგმენტი?

```
int a, b =25;
int *p = &a;
*p = &b;
cout<<*p;
```

ფრაგმენტის მესამე სტრიქონი

```
*p = &b;
```

გამოიწვევს კომპილაციის შეცდომას: `cannot convert from 'int *' to 'int'`
გამოსახულება `*p = &b` კორექტულია მხოლოდ პოინტერის ინიციალიზების მომენტში, ანუ თუ დავწერთ

```
int *p = &b;
```

სხვა შემთხვევაში *p აღნიშნავს მეხსიერებაში p ცვლადში ჩაწერილ მისამართზე მოთავსებულ რიცხვს, ჩვენ შემთხვევაში 25 –ს.
ამიტომ, ინიციალიზების დროს სტილისტურად გამართლებულია ვარსკვლავის მოთავსება int –ის გვერდით, ასე

```
int* p = &b;
```

თუმცა, სინტაქსურად ასევე სწორია ჩანაწერი int *p = &b;

2. double *x, y, *z; განაცხადში რა ტიპისაა x, y და z ცვლადები?

x და z წარმოადგენენ double ტიპის პოინტერებს, ხოლო y – double ტიპის რიცხვს. ასეთ შემთხვევებში სტილისტურად გამართლებულია * –ის მიწერა ცვლადის სახელთან, რაც x –ის და z –ის ირიბ მნიშვნელობებზე მიუთითებს, ანუ double ტიპის იმ რიცხვებზე, რომელთა მისამართებიც ჩაიწერება x –ის და z –ის მეხსიერებაში.

სწორია თუ არა შემდეგი მინიჭებები?

y = 0.09;	სწორია, y –ის მეხსიერებაში ჩაიწერება ნამდვილი რიცხვი
*x = &y;	შეცდომაა, უნდა იყოს x = &y;
z = y;	შეცდომაა, უნდა იყოს z = &y;
z = x;	სწორია, პოინტერების მინიჭება ნებადართულია.

3. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 მთელ რიცხვს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და შედეგი დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
using namespace std;
void swap (int *, int *);
int main(){
  int a, b;
  cout<<"ShemoitaneT 2 mTeli ricxvi :  ";
  cin>>a>>b;
  cout<<"swap funqciis shesrulebamde :\n";
  cout<<"a = "<<a<<' '<<"b = "<<b<<endl;
  swap(&a, &b);
  cout<<"swap funqciis shesrulebis shemdeg :\n";
  cout<<"a = "<<a<<' '<<"b = "<<b<<endl;
  return 0;
}
void swap (int * x, int * y){
   int dam;
   dam = *x;
   *x = *y;
   *y = dam;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
ShemoitaneT 2 mTeli ricxvi :  5 7
swap funqciis shesrulebamde :
a = 5 b = 7
swap funqciis shesrulebis shemdeg :
a = 7 b = 5
Press any key to continue . . .
```

4. ა) დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 ნამდვილ რიცხვს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაალაგეთ ზრდადობით 3 მოცემული ნამდვილი რიცხვი. შედეგი დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
```

```
using namespace std;
void swap (double* , double* );
int main(){
    double a, b, c;
    cout<<"ShemoitaneT 3 namdvili ricxvi :\n";
    cin>>a>>b>>c;
    if(a>b) swap(&a, &b);
    if(b>c) swap(&b, &c);
    if(a>b) swap(&a, &b);
    cout<<"ZrdadobiT dalagebuli 3 ricxvi :\n";
    cout<<a<<' '<<b<<' '<<c<<endl;
    return 0;
}
void swap (double* x, double* y){
   double t;
   t = *x; *x = *y; *y = t;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
ShemoitaneT 3 namdvili ricxvi :
10.5 -3.7 22.25
ZrdadobiT dalagebuli 3 ricxvi :
-3.7 10.5 22.25
Press any key to continue . . .
```

ბ) მოიყვანეთ ისეთი სამი რიცხვის მაგალითი, რომ პროგრამის მესამე

```
if(a>b) swap(&a, &b);
```

შეტყობინების შესრულება აუცილებელი იყოს რიცხვების დალაგებისათვის.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. შეასრულეთ და გააანალიზეთ შემდეგი პროგრამები

ა)
```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  int x = 15, y = 34;
    int *k, *p;
    k = &y;
    p = k;
    x = *p;
    cout<< x <<endl;
   return 0;
}
```

ბ)
```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
  double x = 7.86, y = 3.37, *k, *p;
   k = &x;
   p = &y;
   y = *k;
   cout<<*p<<endl;
  return 0;
}
```

2. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 სიმბოლოს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და შედეგი დაბეჭდეთ.

3. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 სტრიქონს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაალაგეთ ზრდადობით 3 მოცემული სტრიქონი. შედეგი დაბეჭდეთ.
4. გადატვირთეთ ფუნქცია swap, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს ერთი და იგივე ტიპის 2 ცვლადს.
5. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც:
   ა) გამოითვლის ორი მთელი რიცხვის ჯამსა და ნამრავლს. ჯამი უნდა იყოს ფუნქციის დასაბრუნებელი მნიშვნელობა, ნამრავლი კი მან უნდა დააბრუნოს ცვლადი პარამეტრის საშუალებით. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაბეჭდეთ მიღებული შედეგები;

   გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
using namespace std;
int calculation(int, int, int* );
int main(){
  int a, b, sum, product;
  cout<<"SemoitaneT 2 mTeli ricxvi : ";
  cin>>a>>b;
  sum = calculation(a, b, &product);
  cout<<"Ricxvebis jami = "<<sum<<endl
      <<"Namravli = "<<product<<endl;
  return 0;
}
int calculation(int x, int y, int* p){
   *p = x * y;
   return x + y;
}
```

   პროგრამის შესრულების შედეგია:

```
SemoitaneT 2 mTeli ricxvi : 12 10
Ricxvebis jami = 22
Namravli = 120
Press any key to continue . . .
```

   ბ) გამოითვლის სამკუთხედის ფართობსა და პერიმეტრს სამი გვერდის მიხედვით (სამკუთხედის გვერდები ფუნქციის პარამეტრებია, პერიმეტრი – ფუნქციის ცვლადი პარამეტრი). გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და მოცემული სამკუთხედისათვის დაბეჭდეთ მისი ფართობი და პერიმეტრი;

   გ) გამოითვლის სამკუთხედის ფართობს გვერდისა და მასზე დაშვებული სიმაღლის მიხედვით. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და მოცემული სამკუთხედისათვის დაბეჭდეთ მისი ფართობი.
6. ვექტორი შეიცავს N მთელ შემთხვევით რიცხვს. დაწერეთ პროგრამა, რომელიც იპოვის და დაბეჭდავს ვექტორის:
   ა) უდიდესი ელემენტის მნიშვნელობას და მის ინდექსს;

   გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <ctime>
using namespace std;
void printVector(vector<int> );
int maxIndex(vector<int> );
int main(){
  const int N =15;
  vector<int> X;
```

```
  srand( time(NULL) );
  for(int count =1; count <=N; count++)
     X.push_back( rand() );
  printVector(X);
  int index = maxIndex(X);
  cout<<"Udidesi elementi = "<<X[index]<<endl
      <<"VeqtorSi misi indeqsia "<<index<<endl;
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
int maxIndex(vector<int> x){
   int ind = 0;
   for(int i=1; i<x.size(); i++)
      if(x[i] > x[ind]) ind = i;
   return ind;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
30161  13246  26412  9137  20062  16277  8810  30701
22795 15790 12544 1996 29652 5732 4843
Udidesi elementi = 30701
VeqtorSi misi indeqsia 7
Press any key to continue . . .
```

ბ) ელემენტების ჯამს;

გ) ელემენტების საშუალო არითმეტიკულს.

7. ვექტორი შეიცავს N მთელ რიცხვს. დაწერეთ პროგრამა, რომელიც იპოვის და დაბეჭდავს მოცემული b რიცხვის ტოლ ვექტორის პირველივე ელემენტის ინდექსს, ან, თუ ასეთი ელემენტი არ აღმოჩნდა, შესაბამის გზავნილს. ვექტორი შეავსეთ შემთხვევითი რიცხვებით, b შემოიტანეთ კლავიატურიდან.

გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <ctime>
using namespace std;
void printVector(vector<int> );
int get_index(vector<int> , int);
int main(){
  const int N =10;
  vector<int> A;
  srand( time(NULL) );
  for(int count =1; count <=N; count++)
     A.push_back( rand() );
  printVector(A);
  int b;
  cout<<"b = ";
  cin>>b;
  int index = get_index(A, b);
  if(index == -1)
    cout<<b<<"-s toli ricxvi veqtorSi ar aris\n";
  else
    cout<<b<<"-s toli ricxvis indeqsia "
        <<index<<endl;
```

```
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
int get_index(vector<int> x, int b){
   int ind = -1;
   for(int i=0; i<x.size(); i++)
      if(x[i] == b) return i;
   return ind;
}
```

დავალება:

შეასრულეთ პროგრამა `b` –ს სხვადასხვა მნიშვნელობისთვის და დააკვირდით შედეგს.

8. `words.in` ფაილი შეიცავს ჰარის სიმბოლოთი გამოყოფილ სიტყვებს. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს, არის თუ არა ფაილში სიტყვა `exam`. თუ ეს სიტყვა ფაილში არის, ფუნქციამ უნდა დააბრუნოს მისი რიგითი ნომერი, თუ კი არა – დააბრუნოს `-1`. გამოიყენეთ ფუნქცია პროგრამაში და დაბეჭდეთ სათანადო გზავნილი.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 9

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- პოინტერის გამოყენება ცვლადებთან
- პოინტერის გამოყენება ფუნქციის პარამეტრად

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: შეასრულეთ და გააანალიზეთ შემდეგი პროგრამა:

```
//////////////////////////////////////////
//  პროგრამა: პოინტერის გამოყენება ცვლადებთან
//////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   int a =9, *p =&a;
   cout<<"a = "<<a<<endl;
   cout<<"a-s misamarti = "<< &a <<endl
       <<"p-s mnishvneloba = "<< p <<endl;
   cout<<"p misamartze mnishvneloba = "
       << *p <<endl;
   return 0;
}
```

ამოცანა 2: დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს და დააბრუნებს მართკუთხედის ფართობსა და პერიმეტრს. მართკუთხედის გვერდები ნამდვილი რიცხვებია, რომელიც შეგვაქვს კლავიატურიდან. გამოთვლილი ფართობი დააბრუნეთ ფუნქციიდან **return** ოპერატორის, პერიმეტრი კი – პარამეტრის გამოყენებით.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////////
//  პროგრამა: პოინტერის გამოყენება ფუნქციის პარამეტრად
//////////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
double Rectangle(double, double, double* );
int main(){
  double a, b, area, perimeter;
  puts("SemoitaneT marTkuTxedis gverdebi :\n");
  cin>>a>>b;
  area = Rectangle(a, b, &perimeter);
  cout<<"FarTobi = "<<area
      <<"\nPerimetri = "<<perimeter<<endl;
   return 0;
}
double Rectangle(double x, double y, double* per){
    double area;
    area = x * y;
    *per = 2 * (x + y);
    return area;
}
```

დავალება:

ა). გაუშვით პროგრამა შესრულებაზე და შეიტანეთ გვერდების სიდიდეები 2.5 და 3.0. დარწმუნდით, რომ პროგრამამ დაბეჭდა

```
FarTobi = 7.5
Perimetri = 11
```

ბ). შეასრულეთ პროგრამა მართკუთხედის გვერდების სხვა მნიშვნელობებისთვის და დარწმუნდით პასუხის სისწორეში.

ამოცანა 3: ვექტორი შეიცავს სიტყვებს. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც იპოვის ყველაზე გრძელ სიტყვას და მის სიგრძეს. გამოიყენეთ ფუნქცია `main()`–ში და დაბეჭდეთ შედეგი. ვექტორში სიტყვები ჩაწერეთ `words.txt` ფაილიდან.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////
//  პროგრამა: ფაილიდან სიტყვების წაკითხვა და ყველაზე
//            გრძელი სიტყვის და მისი სიგრძის პოვნა
//////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <vector>
#include <fstream>
#include <string>
using namespace std;
string get_word(vector<string>, int* );
int main(){
  vector<string> v;
  string w;
  ifstream fin("words.txt");
  while(fin>>w)
    v.push_back(w);
  int wordLength;
  string k = get_word(v, &wordLength);
  cout<<"Yvelaze grZeli sityvaa '"
      <<k<<"' sigrZiT "<<wordLength<<endl;
   return 0;
}
string get_word(vector<string> x, int* len){
  string max; int l = 0;
  for(int i=0; i<x.size(); i++)
       if(x[i].length() > l){
          l = x[i].length();
          max = x[i];
       }
  *len = l;
  return max;
}
```

დავალება:

ა). შექმენით `words.txt` ფაილი, ჩაწერეთ მასში ჰარით გამოყოფილი სიტყვები და დაამატეთ ფაილი პროექტში. შეასრულეთ პროგრამა. მიიღეთ სწორი შედეგი?

ბ). ახსენით `get_word` ფუნქციის ალგორითმი;

გ). ახსენით `*len = l;` შეტყობინების არსი.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. `input.txt` ფაილში წერია მთელი რიცხვები. შექმენით ფუნქცია, რომელიც შეიტანს ამ რიცხვებს ვექტორში და დააბრუნებს პირველივე დადებითის ინდექსს. თუ დადებითი რიცხვი მათ შორის არ არის, დააბრუნებს `-1`-ს. გამოიყენეთ ფუნქცია პროგრამაში და დაბეჭდეთ სათანადო გზავნილი.

გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
//////////////////////////////////////////////////
// პროგრამა: ფაილიდან რიცხვების წაკითხვა და პირველივე
//           დადებითი რიცხვის ინდექსის პოვნა
//////////////////////////////////////////////////
```

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <fstream>
using namespace std;
int get_index();
int main(){
   int dad_ind = get_index();
   if(dad_ind == -1)
     cout<<"DadebiTi ricxvebi failSi ar iyo\n";
   else
     cout<<"Pirvelive dadebiTis indeqsia "<<dad_ind<<endl;
   return 0;
}
int get_index(){
  vector<int> v;
  int a, ind = -1;
  ifstream fin("input.txt");
  while(fin>>a)
    v.push_back(a);
  for(int i=0; i<v.size(); i++)
    if(v[i] > 0) return i;
  return ind;
}
```

დავალება:

ა). `input.txt` ფაილში ჩაწერეთ რამდენიმე მთელი რიცხვი ისე, რომ მათ შორის იყოს ერთი მაინც დადებითი, შეასრულეთ პროგრამა და გააანალიზეთ შედეგი.

ბ). `input.txt` ფაილში ჩაწერეთ რამდენიმე მთელი რიცხვი ისე, რომ მათ შორის არც ერთი დადებითი არ იყოს, შეასრულეთ პროგრამა და გააანალიზეთ შედეგი.

2. `data.in` ფაილში ნამდვილი რიცხვებია. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც წაიკითხავს რიცხვებს ფაილიდან და დააბრუნებს პირველივე უარყოფითი რიცხვის რიგით ნომერს. თუ უარყოფითი რიცხვი მათ შორის არ არის, დააბრუნებს `-1`-ს. გამოიყენეთ ფუნქცია პროგრამაში და დაბეჭდეთ სათანადო გზავნილი.

შესაბამისი C++ -პროგრამის სახეა:

```
//////////////////////////////////////////////////////
//  პროგრამა: ფაილიდან რიცხვების წაკითხვა და პირველივე
//            უარყოფითი რიცხვის რიგითი ნომრის პოვნა
//////////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
using namespace std;
int get_rn();
int main(){
   int negative_rn = get_rn();
   if(negative_rn == -1)
     cout<<"UaryofiTi ricxvebi failSi ar iyo\n";
   else
     cout<<"Pirvelive uaryofiTis rigiTi nomeria "
         <<negative_rn<<endl;
   return 0;
}
int get_rn(){
   double a;
   int count = 0;
   ifstream ifs("input.txt");
   while ( ifs>>a ){
```

```
      count++;
      if(a < 0)
        return count;
     }
   return -1;
}
```

დავალება: შეასრულეთ და გააანალიზეთ მოცემული პროგრამა. ახსენით `get_rn` ფუნქციის ალგორითმი.

3. მე-9 პრაქტიკული მეცადინეობის ყველა დავალებისთვის დაწერეთ, გამართეთ და შეასრულეთ შესაბამისი პროგრამები.

პრაქტიკული მეცადინეობა № 10

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- მითითება (reference). მოქმედებები მითითებაზე
- ფუნქციის პარამეტრი/არგუმენტი - მითითება

მასალა დამოუკიდებლად გაცნობისათვის:

1. მითითების გამოყენების მარტივი მაგალითები

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	`int x =-15;`
	`// განაცხადი მთელი ტიპის y მითითებაზე`
	`int& y = x;`
	`/* y მთელი რიცხვია, რომელსაც იგივე`
	`მისამართი აქვს, რაც x -ს */`
	`cout<<"x = "<<x<<endl`
	`<<"y = "<<y<<endl;`
		`x = -15`
		`y = -15`

2	`int a = 35;`
	`int& b =a;`
	`cout<<"a-s misamarTia "<<&a<<endl`
	`<<"b-s misamarTia "<<&b<<endl;`
	`cout<<"a = "<<a<<' '<<"b = "<<b<<endl;`
		`a-s misamarTia`
		`0012FF60`
		`b-s misamarTia`
		`0012FF60`
		`a = 35 b = 35`

3	`char ch = 'M';`
	`char& p = ch;`
	`cout<<"p = "<<p<<endl;`
	`++p;`
	`cout<<"p = "<<p<<' '<<"ch = "<<ch<<endl;`
		`p = M`
		`p= N ch= N`

4	`double x =0.067;`
	`double& y =x;`
	`x += 2;`
	`cout<<"x = "<<x<<' '<<"y = "<<y<<endl;`
	`cout<<(int)&x<<' '<<(int)&y<<endl;`
		`x = 2.067 y = 2.067`
		`1245020 1245020`

5	`string s ="TSU";`
	`string& q =s;`
	`cout<<"s : "<<s<<' '<<"q : "<<q<<endl;`
	`cout<<(int)&q<<' '<<(int)&s<<endl;`
		`s : TSU q : TSU`
		`1244980 1244980`

6	`float y = 4.25;`
	`float& p = y;`
	`p = 0.78;`
	`--y;`
	`cout<<"y = "<<y<<' '<<"p = "<<p<<endl;`
		`y = -0.22 p = -0.22`

7	`char s = 97;`
	`char& k = s;`
	`cout<<"k : "<<k<<" code = "<<(int)k<<endl;`
		`k : a code = 97`

8	`string s ="C++";`
	`string& k =s;`
	`// k სტრიქონის შებრუნება`
	`reverse(k.begin(), k.end());`
	`cout<<"s : "<<s<<endl`
	`<<"k : "<<k<<endl;`
		`s : ++C`
		`k : ++C`

9	`string s ="amocana";`
	`string& k =s;`
	`// s სტრიქონის დასაწყისში g ასოს ჩასმა`
	`s.insert(0,"g");`
	`cout<<"s : "<<s<<endl`
	`<<"k : "<<k<<endl;`
		`s : gamocana`
		`k : gamocana`

10	double t =0.067;
	double& u =t;
	u *= 2;
	t++;
	cout<<"t = "<<t<<' '<<"u = "<<u<<endl;
	cout<<(int)&t<<' '<<(int)&u<<endl;
		t = 1.134 u = 1.134
		1245020 1245020

სააუდიტორიო სამუშაო:

1. რა შეცდომას შეიცავს შემდეგი ფრაგმენტი?

```
int a = 25;
int& p;
p = &a;
cout<<p;
```

ფრაგმენტის მეორე სტრიქონი

```
int& p;
```

გამოიწვევს კომპილაციის შეცდომას

```
'p' : references must be initialized
```

რაც ნიშნავს, რომ მითითებაზე განაცხადის დროს **აუცილებელია** მითითების ინიციალიზება უკვე არსებული მნიშვნელობით, ჩვენ შემთხვევაში, მთელი a რიცხვის სიდიდით.

ფრაგმენტის მესამე სტრიქონი

```
p = &a;
```

გამოიწვევს კომპილაციის შეცდომას

```
cannot convert from 'int *' to 'int'
```

ეს ნიშნავს, რომ მესამე სტრიქონში ჩვენ ვცდილობთ მთელ p რიცხვს მივანიჭოთ a –ს მისამართი.

სწორი ფრაგმენტი ასე გამოიყურება:

```
int a = 25;
int& p = a;
cout<<p;
```

2. double x, y; double & z = x ; განაცხადებში რა ტიპისაა x, y და z ცვლადები?
x, y და z წარმოადგენენ double ტიპის რიცხვებს, ამასთან z და x ნამდვილი რიცხვები ერთ მისამართზე არიან განთავსებული. ე.ი. z არის x რიცხვის სხვა სახელი (ფსევდონიმი)

სწორია თუ არა შემდეგი მინიჭებები?

```
y = 0.09;    სწორია, y –ის მეხსიერებაში ჩაიწერება ნამდვილი რისხვი 0.09
x = y;       სწორია, x –ის მეხსიერებაში ჩაიწერება ნამდვილი რისხვი 0.09
z = &y;      შეცდომაა, უნდა იყოს  z = y;
z = x + y;   სწორია, x, y და z – ნამდვილი რიცხვებია.
```

3. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 სტრიქონს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კლავიატურიდან შემოტანილი ორი სტრიქონისთვის და შედეგი დაბეჭდეთ.

```
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
void swap(string & , string &);
```

```
int main(){
  string a, b;
  cout<<"ShemoitaneT 2 striqoni :  ";
  cin>>a>>b;
  cout<<"swap funqciis shesrulebamde :\n";
  cout<<"a = "<<a<<' '<<"b = "<<b<<endl;
  swap(a, b);
  cout<<"swap funqciis shesrulebis shemdeg :\n";
  cout<<"a = "<<a<<' '<<"b = "<<b<<endl;
  return 0;
}
void swap (string& x, string& y){
   string dam = x;
   x = y;
   y = dam;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
ShemoitaneT 2 striqoni :  ananasi banani
swap funqciis shesrulebamde :
a = ananasi b = banani
swap funqciis shesrulebis shemdeg :
a = banani b = ananasi
Press any key to continue . . .
```

4. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც მთელ ვექტორში დაითვლის პირველი p ელემენტის ჯამს. ვექტორში რიცხვები ჩაწერეთ ints.txt ფაილიდან. ძირითად პროგრამაში გამოიძახეთ ფუნქცია პირველი:

ა) 10 რიცხვის ჯამის დასადგენად;

ბ) 15 რიცხვის ჯამის დასათვლელად;

გ) კლავიატურიდან შემოტანილი რაოდენობის რიცხვის ჯამის დასათვლელად.

რიცხვების ვექტორში ჩასაწერად და ვექტორის ელემენტების დასაბეჭდად ასევე შექმენით ფუნქციები.

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void fillVector(vector<int>& );
void printVector(vector<int> );
int Sum(vector<int> , int =10);
int main(){
   vector<int> A;
   fillVector(A);
   cout<<"Vectori :\n";
   printVector(A);
   cout<<"Pirveli 10 ricxvis jami tolia : "
       <<Sum(A)<<endl;
   cout<<"Pirveli 15 ricxvis jami tolia : "
       <<Sum(A, 15)<<endl;
   cout<<"Ramdeni ricxvis jami vipovoT ? ";
   int quantity;
   cin>>quantity;
   cout<<"Pirveli "<<quantity<<" ricxvis jami tolia : "
       <<Sum(A, quantity)<<endl;
   return 0;
}
```

```
void fillVector(vector<int>& a){
   int number;
   ifstream fin("ints.txt");
   while( fin>>number )
      a.push_back(number);
}
void printVector(vector<int> a){
   for(int i=0; i<a.size(); i++)
       cout<<a[i]<<' ';
   cout<<endl;
}
int Sum(vector<int> a, int p){
   int s = 0;
   for(int k=0; k<p; k++)
      s +=a[k];
   return s;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Vectori :
5 -7 100 3 78 123 -124 0 90 -10 -100 120 9 -21 0 4 -5 65 43 20
Pirveli 10 ricxvis jami tolia : 258
Pirveli 15 ricxvis jami tolia : 266
Ramdeni ricxvis jami vipovoT ? 5
Pirveli 5 ricxvis jami tolia : 179
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. შეასრულეთ და გააანალიზეთ შემდეგი პროგრამები

ა)

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   int j, k = 121;
   int &i = j;
   j = 10;
   cout<<j<<" "<<i<<endl;
   i = k;
   cout<<j<<" "<<i<<endl;
   i++;
   cout<<j<<" "<<i<<endl;
   return 0;
}
```

ბ)

```
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   double a, b = 10.05;
   double &c = b;
   a = c;
   cout<<c<<" "<<a<<endl;
   c = -3.75;
   cout<<c<<" "<<a<<endl;
   b -= 0.5;
   cout<<c<<" "<<b<<endl;
   return 0;
}
```

2. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 სიმბოლოს. სიმბოლოები ფუნქციის ცვლადი პარამეტრები – მითითებებია. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და შედეგი დაბეჭდეთ.
3. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 ნამდვილ რიცხვს. გამოიყენეთ ფუნქციის ცვლადი პარამეტრები – მითითებები. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და შედეგი დაბეჭდეთ.

   გაარჩიეთ შესაბამილი C++-პროგრამა:
4. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაუცვლის მნიშვნელობებს 2 მთელ რიცხვს. გამოიყენეთ ფუნქციის ცვლადი პარამეტრები – მითითებები. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაალაგეთ კლებადობით 3 მოცემული მთელი რიცხვი. შედეგი დაბეჭდეთ.

   გაარჩიეთ შესაბამილი C++-პროგრამა:

```
#include <iostream>
using namespace std;
void swap (int & , int & );
int main(){
    int a, b, c;
    cout<<"ShemoitaneT 3 mTeli ricxvi :\n";
    cin>>a>>b>>c;
    if(a<b) swap(a, b);
    if(b<c) swap(b, c);
    if(a<b) swap(a, b);
    cout<<"KlebadobiT dalagebuli 3 ricxvi :\n";
    cout<<a<<' '<<b<<' '<<c<<endl;
    return 0;
}
void swap (int& x, int& y){
   int temp;
   temp = x;
   x = y;
   y = temp;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
ShemoitaneT 3 mTeli ricxvi :
5 7 9
KlebadobiT dalagebuli 3 ricxvi :
9 7 5
Press any key to continue . . .
```

5. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გამოთვლის წრის ფართობსა და წრეწირის სიგრძეს. წრის რადიუსი ნამდვილი რიცხვია და ფუნქციის პარამეტრს წარმოადგენს. გამოთვლილი ფართობი დააბრუნეთ ფუნქციიდან **return** ოპერატორის, წრეწირის სიგრძე კი – პარამეტრის გამოყენებით. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კონკრეტული წრისთვის, რომლის რადიუსი შეგვაქვს კლავიატურიდან.

   გაარჩიეთ შესაბამილი C++-პროგრამა:

```
#include <iostream>
using namespace std;
const double pi =3.14159;
double Circle(double, double & );
int main(){
   double R;
   double area,length;
   cout<<"Enter radius : ";
   cin>>R;
```

```
    area = Circle(R, length);
    cout<<"Area = "<<area<<endl;
    cout<<"Length = "<<length<<endl;
    return 0;
}
double Circle(double r, double & len){
    len = 2*pi*r;
    return  pi*r*r;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Enter radius : 5
Area = 78.5397
Length = 31.4159
Press any key to continue . . .
```

5. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც:
   ა) გამოითვლის მართკუთხედის ფართობს და პერიმეტრს. პერიმეტრი უნდა იყოს ფუნქციის დასაბრუნებელი მნიშვნელობა, ფართობი კი ფუნქციამ უნდა დააბრუნოს ცვლადი პარამეტრის საშუალებით. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაბეჭდეთ მიღებული შედეგები;
   ბ) გამოითვლის მართკუთხა სამკუთხედის ფართობსა და პერიმეტრს კათეტების მიხედვით (სამკუთხედის კათეტები ფუნქციის პარამეტრებია, პერიმეტრი – ფუნქციის ცვლადი პარამეტრი). გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და მოცემული მართკუთხა სამკუთხედისათვის დაბეჭდეთ მისი ფართობი და პერიმეტრი;
6. ვექტორი შეიცავს N მთელ შემთხვევით რიცხვს [-20,80] შუალედიდან. დაწერეთ პროგრამა, რომელიც იპოვის და დაბეჭდავს ვექტორის:
   ა) უმცირესი ელემენტის მნიშვნელობას და მის ინდექსს;
   ბ) ელემენტების ჯამის მეხუთედს;
   გ) ელემენტების ნამრავლს;
   დ) კენტი ელემენტების საშუალო არითმეტიკულს:

   გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <ctime>
using namespace std;
const int N =20;
void fillVector(vector<int> & );
void printVector(vector<int> );
bool isOdd(int );
double averageOdds(vector<int> );
int main(){
  vector<int> V;
  fillVector(V);
  printVector(V);
  double average = averageOdds(V);
  cout<<"Kentebis saSualo ariTmetikuli = "
      <<average<<endl;
  return 0;
}
void fillVector(vector<int> & x){
   srand( time(NULL) );
   for(int count =1; count <=N; count++)
      x.push_back( rand()%101 -20 );
}
```

```
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
bool isOdd(int k){
   return k%2 != 0;
}
double averageOdds(vector<int> x){
   double sum =0; int count =0;
   for(int i=0; i<x.size(); i++)
      if( isOdd(x[i]) ){
         sum += x[i];
         ++count;
      }
   return sum/count;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
49 22 26 3 47 -19 40 22 5 -4 16 -3 79 68 19 78 25 41 44 -16
Kentebis saSualo ariTmetikuli = 24.6
Press any key to continue . . .
```

7. ვექტორში ზრდადობით დალაგებული მთელი რიცხვებია. დაწერეთ ფუნქცია პროტოტიპით `int BinarySearch(vector<int> a, int c);` რომელიც `a` ვექტორში მოძებნის `c` –ს ტოლ რიცხვს. ფუნქცია დააბრუნებს მის ინდექსს ან –1 -ს, თუ ასეთი რიცხვი ვექტორში არ არის. გამოიყენეთ ორობითი ძიების ალგორითმი.

   პროგრამაში ისარგებლეთ `BinarySearch` ფუნქციით ვექტორისთვის, რომელიც შევსებულია `sorted_numbers.txt` ფაილიდან. საძიებელი რიცხვი შემოიტანეთ კლავიატურიდან.

გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void fillVector(vector<int> & );
void printVector(vector<int> );
int BinarySearch(vector<int> ,int );
int main(){
  vector<int> sorted;
  fillVector(sorted);
  printVector(sorted);
  int check;
  cout<<"\nEnter checked number : ";
  cin>>check;
  int index = BinarySearch(sorted, check);
  if(index == -1)
     cout<<"\nVeqtor does not contain "
         <<check<<endl;
  else cout<<"\nVeqtor contains "<<check
           <<", index is "<<index<<endl;
  return 0;
}
void fillVector(vector<int> & a){
   int number;
   ifstream ifs("sorted_numbers.txt");
   while( ifs>>number )
```

```
      a.push_back(number);
}
int BinarySearch(vector<int> a, int c){
   int l =0, r =a.size()-1, m;
   while( l <= r ){
     m = (l+r)/2;
     if(c == a[m]) return m;
     if(c > a[m]) l =m+1;
     else r =m-1;
   }
   return -1;
}
void printVector(vector<int> x){
   cout<<"Vector : \n\n";
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

sorted_numbers.txt ფაილი	გამოსატანი ეკრანი
1 3 5 7 9 13 24 55 67	Vector : 1 3 5 7 9 13 24 55 67 Enter checked number : 55 Veqtor contains 55, index is 7 Press any key to continue . . .

8. ვექტორში N ნამდვილი განსხვავებული რიცხვია. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაადგენს და დააბრუნებს ვექტორის უმცირესი და უდიდესი ელემენტების ინდექსებს. ძირითად პროგრამაში შეავსეთ ვექტორი კლავიატურიდან, გამოიძახეთ ფუნქცია და დაბეჭდეთ ვექტორის უმცირესი და უდიდესი ელემენტების ჯამი.

გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int Indexes(vector<double> , int& );
void fillVector(vector<double>& );
int main(){
  vector<double> D;
  fillVector(D);
  int max_ind, min_ind;
  max_ind = Indexes(D, min_ind);
  double sum = D[max_ind] + D[min_ind];
  cout<<D[max_ind]<<" + "<<D[min_ind]
      <<" = "<<sum<<endl;
  return 0;
}
int Indexes(vector<double> x, int& min_i){
   int max_i;
   max_i = min_i =0;
   for(int i=1; i<x.size(); i++)
      if(x[i] > x[max_i]) max_i = i;
      else
        if( x[i] < x[min_i] ) min_i = i;
   return max_i;
}
```

```
void fillVector(vector<double>& x){
  double real;
  cout<<"SemoitaneT namdvili ricxvebi, "
        "bolos - simbolo\n";
  while( cin>>real )
     x.push_back(real);
}
```

პროგრამა დაბეჭდავს:

```
SemoitaneT namdvili ricxvebi, bolos - simbolo
1.2  0  75.6  -65.2  47.9  -34.75  100.95 *
100.95 + -65.2 = 35.75
Press any key to continue . . .
```

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- მითითების გამოყენება ცვლადებთან
- მითითების გამოყენება ფუნქციის პარამეტრად

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: შეასრულეთ და გააანალიზეთ შემდეგი პროგრამა:

```
//////////////////////////////////////////////
//  ავტორი:
//  პროგრამა: მითითების გამოყენება ცვლადებთან
//////////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
int main(){
   int a =9;
   int& p =a;
   cout<<"a = "<<a<<endl;
   cout<<"a-s misamarti = "<< &a <<endl
       <<"p-s mnishvneloba = "<< p <<endl
       <<"p-s misamarti = "<< &p <<endl;
   a+=5;
   cout<<"a = "<< a <<endl
       <<"p = "<< p <<endl;
   p-=10;
   cout<<"a = "<< a <<endl
       <<"p = "<< p <<endl;
   return 0;
}
```

ამოცანა 2: დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაითვლის კვადრატის ფართობსა და დიაგონალის სიგრძეს. კვადრატის გვერდი ნამდვილი რიცხვია, რომელიც შეგვაქვს კლავიატურიდან. კვადრატის ფართობი დააბრუნეთ ფუნქციიდან **return** ოპერატორის, დიაგონალის სიგრძე კი – პარამეტრი-მითითების გამოყენებით.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////////
// პროგრამა: მითითების გამოყენება ფუნქციის პარამეტრად
//////////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
using namespace std;
double Square(double, double & );
int main(){
   double G;
   double area,diagonal;
   cout<<"Enter side : ";
   cin>>G;
   area = Square(G, diagonal);
   cout<<"Area = "<<area<<endl;
   cout<<"Diagonal = "<<diagonal<<endl;
   return 0;
}
double Square (double s, double& d){
   d = s * sqrt(2.0);
   return  s * s;
}
```

დავალება:

ა). გაუშვით პროგრამა შესრულებაზე, შეიტანეთ გვერდის სიდიდე 2.0 და დარწმუნდით, რომ პროგრამა დაბეჭდავს

```
Area = 4
Diagonal = 2.82843
```

ბ). შეასრულეთ პროგრამა კვადრატის გვერდის სხვა მნიშვნელობებისთვის და დარწმუნდით პასუხების სისწორეში.

ამოცანა 3: ჩაწერეთ ვექტორში 150 შემთხვევითი რიცხვი [100, 200] შუალედიდან, შემდეგ დაბეჭდეთ ვექტორის ელემენტები 7 სვეტად. ვექტორის შევსება და ბეჭდვა გააფორმეთ ფუნქციების სახით.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////////
// ავტორი:
// პროგრამა: ვექტორის ელემენტების ბეჭდვა ცხრილის სახით
//////////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <vector>
#include <iomanip>
#include <ctime>
using namespace std;
const int N =150;
void fillVector(vector<int>& );
void printVector(vector<int> );
int main(){
   vector<int> A;
   fillVector(A);
   printVector(A);
   return 0;
}
void fillVector(vector<int>& x){
   srand( time(NULL) );
   for(int count =1; count <=N; count++)
      x.push_back( rand()%101+100 );
}
void printVector(vector<int> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++){
      cout<<setw(5)<<x[i];
       if( (i+1)%7 == 0)cout<<endl;
   }
   cout<<endl;
}
```

დავალება:

ა). შეასრულეთ პროგრამა რამდენიმეჯერ, ახსენით `setw` მანიპულატორის დანიშნულება;

ბ). ახსენით

```
if( (i+1)%7 == 0)cout<<endl;
```

შეტყობინების მოქმედება;

გ). გადაწერეთ ფუნქცია ისე, რომ ვექტორის ელემენტები დაიბეჭდის: 4 სვეტად; 5 სვეტად შებრუნებული რიგით.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. ვექტორში ჩაწერილია ზრდადობით დალაგებული სახელები. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც ჩაამატებს ვექტორში კლავიატურიდან შემოტანილ სახელს ისე, რომ სახელების დალაგება არ დაირღვეს. გამოიყენეთ შექმნილი ფუნქცია და დაბეჭდეთ ვექტორი. ვექტორში სახელები ჩაწერეთ `names.txt` ფაილიდან. **შენიშვნა:** ფუნქცია დაწერეთ `sort` ალგორითმის გამოყენების გარეშე.

გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
//////////////////////////////////////////////////
// პროგრამა: ფაილიდან სტრიქონების ჩაწერა ვექტორში,
//           სტრიქონის ჩასმა  ვექტორში სათანადო ადგილას
//////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <vector>
#include <string>
#include <fstream>
using namespace std;
void fillVector(vector<string>& );
void printVector(vector<string> );
void insertName(vector<string>& , string );
int main(){
   vector<string> N;
   fillVector(N);
   printVector(N);
   cout<<"Enter name to insert : ";
   string name;
   cin>>name;
   insertName(N, name);
   printVector(N);
   return 0;
}
void printVector(vector<string> x){
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       cout<<x[i]<<' ';
   cout<<endl;
}
void fillVector(vector<string>& x){
   string name;
   ifstream fin("names.txt");
   while( fin>>name )
     x.push_back(name);
}
void insertName(vector<string>& x, string n){
   if( n > x[x.size()-1] ) x.push_back(n);
   else {
     int i =0;
     while( n > x[i] )i++;
     x.insert(x.begin()+i,n);
   }
}
```

დავალება:

ა). შეასრულეთ პროგრამა კლავიატურიდან შემოტანილი სხვადასხვა სახელებისთვის. ახსენით ფუნქციის ალგორითმი.

ბ). შეცვალეთ პროგრამის `insertName` ფუნქცია გამარტივებული ვერსიით: გამოიყენეთ `sort` ალგორითმი. კვლავ შეასრულეთ პროგრამა კლავიატურიდან შემოტანილი სხვადასხვა სახელებისთვის.

2. `A` და `B` ვექტორებში კლებადობით დალაგებული მთელი რიცხვებია. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც `A` და `B` ვექტორების საფუძველზე შექმნის ასევე კლებადობით დალაგებულ `C` ვექტორს. გამოიყენეთ ფუნქცია და დაბეჭდეთ `C` ვექტორი `C.txt` ფაილში.. `A` და `B` ვექტორებში რიცხვები შეიტანეთ `A.txt` და `B.txt` ფაილებიდან შესაბამისად. ვექტორის შევსება და ბეჭდვა გააფორმეთ ფუნქციების სახით. ამოცანა ამოხსენით ორი გზით: 1) `sort` ალგორითმის გამოყენების გარეშე; 2) `sort` ალგორითმის გამოყენებით.

1) გაარჩიეთ შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
//////////////////////////////////////////////////
// პროგრამა: დალაგებული მასივების შერწყმა დალაგების
//             შენარჩუნებით
//////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void fillVector(vector<int>& ,string );
void printVector(vector<int> );
void merge(vector<int> ,vector<int> ,vector<int>& );
int main(){
  vector<int> A, B, C;
  fillVector(A,"A.txt");
  fillVector(B,"B.txt");
  merge(A, B, C);
  printVector(C);
  return 0;
}
void printVector(vector<int> x){
   ofstream fout("C.txt");
   for(int i=0; i<x.size(); i++)
       fout<<x[i]<<' ';
}
void fillVector(vector<int>& x, string fname){
   ifstream fin(fname);
   int n;
   while( fin >> n ){
     x.push_back(n);
   }
}
void merge(vector<int> a,vector<int> b,vector<int>& c){
   int i, j, k;
   i =j =k =0;
   while( i <a.size() && j < b.size() )
      if( a[i] > b[j] ) c.push_back(a[i++]);
      else  c.push_back(b[j++]);
   if(i == a.size())
      for(j; j < b.size(); j++) c.push_back( b[j] );
   else  for(i; i < a.size(); i++) c.push_back( a[i] );
}
```

დავალება:

ა). შექმენით `A.txt` და `B.txt` ფაილები და ჩაწერეთ მათში კლებადობით დალაგებული მთელი რიცხვები. შეასრულეთ პროგრამა კომპიუტერზე და დარწმუნდით, რომ მიღებულ ფაილში რიცხვები დალაგებულია კლებადობით.

ბ). ახსენით `merge` ფუნქციის ალგორითმი.

2) **მითითება:** `X` ვექტორში მთელი რიცხვების კლებადობით დალაგებას უზრუნველყოფს `sort` ალგორითმი შემდეგი სახით: `sort(X.rbegin(), X.rend());`

ან `sort(X.begin(), X.end(), greater<int>());`

3. მე-10 პრაქტიკული მეცადინეობის ყველა დავალებისთვის დაწერეთ, გამართეთ და შეასრულეთ შესაბამისი პროგრამები.

პრაქტიკული მეცადინეობა № 11

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- ვექტორის ელემენტი - ვექტორი
- ორგანზომილებიანი ვექტორის გადაცემა ფუნქციაში

მასალა დამოუკიდებლად გაცნობისათვის:

1. ორგანზომილებიან ვექტორზე განაცხადი, მისთვის მეხსიერების გამოყოფა, ვექტორის ინიციალიზება და ელემენტების ბეჭდვა

№	პროგრამის ფრაგმენტი	შედეგი

1	/* განაცხადი ორგანზომილებიან Matrix ვექტორზე, რომელიც შეიცავს 3 ელემენტს – Row ვექტორს, თითოეულ Row ვექტორში 4 მთელი რიცხვია */
	vector<int> Row(4);
	vector<vector <int> > Matrix(3, Row);
		მეხსიერებაში გამოიყოფა უწყვეტი უბანი 12 (3 * 4) მთელი რიცხვისთვის

2	/* ორგანზომილებიან Matrix ვექტორში რიცხვების ჩაწერა */
	vector<int> Row(4);
	vector<vector <int> > Matrix(3, Row);
	for(int i=0; i<3; i++)
	for (int j=0; j<4; j++)
	Matrix[i][j] = i+j;
		განაწილებულ მეხსიერებაში ჩაიწერა რიცხვები
		0 1 2 3 1 2 3 4 2 3 4 5

3	/* ორგანზომილებიან Matrix ვექტორში ჩაწერილი რიცხვების ბეჭდვა */
	for(int i=0; i<3; i++)
	{
	for (int j=0; j<4; j++)
	cout <<Matrix[i][j]<<'\t';
	cout<<endl;
	}
		0 1 2 3
		1 2 3 4
		2 3 4 5

4	/* ორგანზომილებიან ნამდვილ რიცხვთა 2 x 3 ვექტორში კლავიატურიდან შემოტანილი რიცხვების ჩაწერა და შემდეგ ბეჭდვა */
	vector<double> row(3);
	vector<vector<double>> matrix(2, row);
	for(int i=0; i<2; ++i)
	for(int j=0; j<3; ++j)
	cin>>matrix[i][j];
	for(int i=0; i<2; ++i) {
	for(int j=0; j<3; ++j)
	cout<<setw(9)<<matrix[i][j];
	cout<<endl;
	}
	cout<<endl;
		// შეტანა
		23.5 -456.75 0.0987
		1.065 0.0 -64.25
		// გამოტანა
		23.5 -456.75 0.0987
		1.065 0 -64.25

5	/* ორგანზომილებიან 5 x 9 ვექტორში ჩავწეროთ სიმბოლოები symbols.dat ფაილიდან და შემდეგ დავბეჭდოთ ცხრილის სახით table.out ფაილში */ vector<char> row(9);	// symbols.dat ფაილი asdfashgdfhgfxcbvnxmc vbiupoiupoiuoiujk;lkj cxvbvcbvcxbfgshfjayiqywo

	vector<vector<char>> matrix(5, row);
	ifstream ifs("symbols.dat");
	for(int i=0; i<5; ++i)
	  for(int j=0; j<9; ++j)
	  ifs>>matrix[i][j];
	ofstream ofs("table.out");
	for(int i=0; i<5; ++i) {
	  for(int j=0; j<9; ++j)
	  ofs<<matrix[i][j];
	  ofs<<endl;
	}
		// table.out ფაილი
		
		asdfashgd
		fhgfxcbvn
		xmcvbiupo
		iupoiuoiu
		jk;lkjcxv

6	/* ორგანზომილებიან მთელ რიცხვთა MxN ვექტორში ჩავწეროთ შემთხვევითი რიცხვები [-50,100] შუალედიდან, შემდეგ ვიპოვოთ მათი ჯამი და დავბეჭდოთ */
	const int M = 5, N = 4;
	vector<int> row(N);
	vector<vector<int>> matrix(M, row);
	for(int i=0; i<M; ++i)
	  for(int j=0; j<N; ++j)
	  matrix[i][j] = rand()%151 -50;
	int sum = 0;
	for(int i=0; i<M; ++i)
	  for(int j=0; j<N; ++j)
	  sum += matrix[i][j];
	cout<<"sum = "<<sum<<endl;
		// კომპიუტერმა დააგენერირა
		// რიცხვები
		
		-9 -5 93 25
		93 -30 -48 14
		34 -48 68 9
		-23 16 96 -12
		76 -37 96 -50
		
		// შედეგი
		
		sum = 358

7	/* ორგანზომილებიან მთელ რიცხვთა MxN ვექტორში შემთხვევითი რიცხვებია. ვიპოვოთ მათ შორის კენტების ჯამი და დავბეჭდოთ */
	const int M = 3, N = 4;
	vector<int> row(N);
	vector<vector<int>> matrix(M, row);
	for(int i=0; i<M; ++i)
	  for(int j=0; j<N; ++j)
	  matrix[i][j] = rand();
	int sum = 0;
	for(int i=0; i<M; ++i)
	  for(int j=0; j<N; ++j)
	  if(matrix[i][j]%2 == 1)
	  sum += matrix[i][j];
	cout<<"sum of odd numbers = "
	  <<sum<<endl;
		// კომპიუტერმა დააგენერირა
		// რიცხვები
		
		41 18467 6334 26500
		19169 15724 11478 29358
		26962 24464 5705 28145
		
		// შედეგი
		
		sum of odd numbers = 71527

2. ორგანზომილებიან ვექტორთან მუშაობის ფუნქციების მაგალითები

№	ფუნქციის განსაზღვრა	ფუნქციის გამოძახება

1	/* ორგანზომილებიანი მთელ რიცხვთა 3x4 ვექტორის კლავიატურიდან შემოტანილი რიცხვებით შევსების ფუნქცია */
	void fillMatrix(vector<vector<int>>& A)
	{
	  for(int i=0; i<A.size(); i++)
	  for(int j=0; j< A[i].size(); j++)
	  cin >> A[i][j];
	}
		int main(){
		 vector<int> row(4);
		vector< vector<int> > M(3,row);
		
		 fillMatrix(M);
		  . . .
		}

2	/* იგივე ფუნქცია: ორგანზომილებიანი ვექტორისთვის შემოვიღეთ ტიპი matrix */
	typedef vector<vector <int> > matrix;
	void fillMatrix(matrix & A){
	for(int i=0; i<3; i++)
	for(int j=0; j<4; j++)
	cin >> A[i][j];
	}
		int main(){
		vector<int> row(4);
		matrix M(3, row);
		fillMatrix(M);
		. . .
		}

3	/* ორგანზომილებიანი მთელ რიცხვთა MxN ვექტორის შემთხვევითი რიცხვებით შევსების ფუნქცია: სტრიქონისთვის შემოვიღეთ ტიპი row, ხოლო ორგანზომილებიანი ვექტორისთვის - ტიპი matrix */
	const int M =3, N =4;
	typedef vector<int> Row;
	typedef vector<Row> Matrix;
	void fillMatrix(Matrix & a){
	for(int i=0; i<M; i++)
	for (int j=0; j<N; j++)
	a[i][j] = rand();
	}
		int main(){
		Row R(N);
		Matrix A (M, R);
		fillMatrix(A);
		. . .
		}

	/* ორგანზომილებიანი მთელ რიცხვთა MxN ვექტორის ბეჭდვის ფუნქცია */
	void printMatrix(vector<vector<int>> A){
	for(int i=0; i<M; i++)
	{
	for(int j=0; j<N; j++)
	cout<<A[i][j]<<'\t';
	cout<<endl;
	}
	cout<<endl;
	}
		int main(){
		vector<int> row(N);
		vector< vector<int> > B(M,row);
		fillMatrix(B);
		printMatrix(B);
		. . .
		}

3	/* იგივე ფუნქცია: ორგანზომილებიანი ვექტორისთვის შემოვიღეთ ტიპი matrix */
	typedef vector<vector <int> > matrix;
	void printMatrix(matrix A){
	for(int i=0; i<M; i++)
	{
	for (int j=0; j<N; j++)
	cout<<A[i][j]<<'\t';
	cout<<endl;
	}
	cout<<endl;
	}
		int main(){
		vector<int> Row(N);
		matrix B(M, Row);
		fillMatrix(B);
		printMatrix(B);
		. . .
		}

4	/* ორგანზომილებიანი ნამდვილ რიცხვთა 2x3 ვექტორის კლავიატურიდან შევსების ფუნქცია */
	typedef vector<vector<double>> matrix;
	void fillMatrix(matrix & X){
	for(int i=0; i<2; i++)
	for (int j=0; j<3; j++){
	cin >>X[i][j];
	}
	}
		int main(){
		vector<double> row(3);
		matrix M(2, row);
		fillMatrix(M);
		. . .
		}

5	/* ორგანზომილებიანი ნამდვილ რიცხვთა K x P ვექტორის ბეჭდვის ფუნქცია */
	const int K =2, P =3;
	typedef vector<vector<double>> matrix;
	void printMatrix(matrix X){
	for(int i=0; i<K; i++)
	{
	for (int j=0; j<P; j++)
	cout <<X[i][j]<<'\t';
	cout<<endl;
	}
	cout<<endl;
	}
		int main(){
		vector<double> row(P);
		matrix M(K, row);
		fillMatrix(M);
		printMatrix(M);
		. . .
		}

6	/* ფუნქცია პოულობს და აბრუნებს ნამდვილ რიცხვთა M x N ვექტორის ელემენტების ჯამს */
	typedef vector<double> Row;
	typedef vector< Row > Matrix;
	double Sum(Matrix x){
	double s =0;
	for(int i=0; i<M; i++)
	for(int j=0; j<N; j++)
	s +=x[i][j];
	return s;
	}
		int main(){
		Row r(N);
		Matrix A(M, r);
		// ვექტორის შევსება
		. . .
		double s = Sum(A);
		cout<<"sum = "<<s
		<<endl;
		. . .
		}

7	/* ფუნქცია ითვლის მთელ რიცხვთა კვადრატული ვექტორის მთავარი დიაგონალის ელემენტების ჯამს */
	const int M = 3;
	typedef vector<int> Row;
	typedef vector< Row > Matrix;
	int Diagonal(Matrix x){
	int s =0;
	for(int i=0; i<M; ++i)
	s +=x[i][i];
	return s;
	}
		int main(){
		Row r(M);
		Matrix B(M, r);
		// ვექტორის შევსება
		. . .
		int s = Diagonal(B);
		cout<<"sum of diagonal"
		" elements = "<<
		s<<endl;
		. . .
		}

სააუდიტორიო სამუშაო:

1. დაწერეთ პროგრამა, რომელიც შეავსებს 3x4 ორგანზომილებიან ვექტორს შემთხვევითი მთელი რიცხვებით [0,50] შუალედიდან და შემდეგ დაბეჭდავს ვექტორს სტრიქონ-სტრიქონ.

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
int main(){
   vector<int> Row(4);
   vector<vector<int>> Matrix(3, Row);
   for(int i=0; i<3; i++)
       for(int j=0; j<4; j++){
           Matrix[i][j] = rand()%51;
   }
   for(int i=0; i<3; i++)
   {
       for(int j=0; j<4; j++)
```

```
            cout<<Matrix[i][j]<<'\t';
        cout<<endl;
    }
    cout<<endl;
    return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
41      5       10      31
44      16      3       33
34      35      44      44
Press any key to continue . . .
```

2. დაწერეთ პროგრამა, რომელიც შეავსებს $K \times P$ ორგანზომილებიან ვექტორს შემთხვევითი მთელი რიცხვებით [0,50] შუალედიდან და შემდეგ დაბეჭდავს ვექტორს სტრიქონ-სტრიქონ. K და P – შესაბამისად ორგანზომილებიანი ვექტორის სტრიქონებისა და სვეტების რაოდენობა – შემოიღეთ მუდმივების სახით.

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
const int K = 3, P = 4;
int main(){
    vector<int> Row(P);
    vector<vector<int>> Matrix(K, Row);
    for(int i=0; i<K; i++)
        for(int j=0; j<P; j++){
            Matrix[i][j] = rand()%51;
     }
    for(int i=0; i<K; i++)
     {
        for(int j=0; j<P; j++)
            cout<<Matrix[i][j]<<'\t';
        cout<<endl;
     }
     cout<<endl;
    return 0;
}
```

3. იგივე პირობისთვის ორგანზომილებიანი ვექტორის შემთხვევითი მთელი რიცხვებით შევსება და მისი სტრიქონ-სტრიქონ ბეჭდვა გააფორმეთ ფუნქციების სახით. გამოიძახეთ ორივე ფუნქცია ძირითად პროგრამაში.

ა).

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <ctime>
using namespace std;
const int K = 3, P = 4;
void fillMatrix(vector< vector<int> > & a);
void printMatrix(vector< vector<int> > a);
int main(){
    vector<int> R(P);
    vector< vector<int> > M(K, R);
    fillMatrix(M);
    printMatrix(M);
    return 0;
}
```

```
void fillMatrix(vector< vector<int> > & a){
   srand(time(NULL));
   for(int i=0; i<K; i++)
      for (int j=0; j<P; j++)
         a[i][j] = rand()%51;
}
void printMatrix(vector< vector<int> > a){
    for(int i=0; i<K; i++)
    {
       for(int j=0; j<P; j++)
          cout <<a[i][j]<<'\t';
       cout<<endl;
    }
    cout<<endl;
}
```

ბ). წინასწარ შემოვიღოთ ორგანზომილებიანი ვექტორის ტიპი matrix და მისი სტრიქონის ტიპი row.

```
#include <iostream>
#include <vector>
#include <ctime>
using namespace std;
typedef vector<int> row;
typedef vector< row > matrix;
void fillMatrix(matrix & a);
void printMatrix(matrix a);
int main(){
   int K, P;
   cout<<"SemoitaneT striqonSi elementebis raodenoba : ";
   cin >> P;
   cout<<"SemoitaneT striqonebis raodenoba : ";
   cin >> K;
    row R(P);
    matrix M(K, R);
    fillMatrix(M);
    printMatrix(M);
    return 0;
}
void fillMatrix(matrix & a){
   srand(time(NULL));
   for(int i=0; i<a.size(); i++)
      for (int j=0; j<a[i].size(); j++)
         a[i][j] = rand()%51;
}
void printMatrix(matrix a){
    for(int i=0; i<a.size(); i++)
    {
       for(int j=0; j<a[i].size(); j++)
          cout <<a[i][j]<<'\t';
       cout<<endl;
    }
    cout<<endl;
}
```

პროგრამის შესრულების ერთ-ერთი შედეგია:

```
29      48      31      17
38      36      42      13
0       32      50      13
```

```
Press any key to continue . . .
```

4. მონაცემების ფაილი წარმოადგენს M × N მართკუთხა ფორმის ნაკვეთის გეგმას წვიმის შემდეგ, სადაც სიმბოლო '+'-ით აღნიშნულია მშრალი ნაწილები, გუბეები კი – სიმბოლო '-'-ით. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც წაიკითხავს ინფორმაციას ფაილიდან, ჩაწერს მას სიმბოლური ტიპის ორგანზომილებიანი ვექტორის სახით და შემდეგ დაითვლის და დააბრუნებს გუბეების რაოდენობას ნაკვეთზე.

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <string>
#include <vector>
using namespace std;
const int M = 4, N = 5;
int Gubeebi();
int main (){
    int k;
    k =Gubeebi();
    cout<<"nakveTze "<<k<<" gubea\n ";
    return 0;
}
int Gubeebi(){
    vector< string > gegma;
    int counter =0;
     string row;
    ifstream fin("nakveTi.txt");
    while(fin>>row)
        gegma.push_back(row);
    for(int i=0; i<gegma.size(); i++)
      for(int j=0; j<gegma[i].size(); ++j)
         if(gegma[i][j] == '-') counter++;
    return counter;
}
```

პროგრამის მუშაობის შედეგია:

nakveTi.txt ფაილი	გამოტანის ეკრანი
-+--+ +-++- ++-++ ---++	nakveTze 9 gubea

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. დაწერეთ ფუნქცია, რომლის პარამეტრიც არის მთელ რიცხვთა ორგანზომილებიანი ვექტორი M × N. ვექტორის განზომილებები M და N წარმოადგენს კონსტანტებს. ფუნქციამ უნდა დაითვალოს ვექტორის 5-ის ჯერადი რიცხვების ჯამი. გამოიყენეთ ფუნქცია პროგრამაში კლავიატურიდან შევსებული ორგანზომილებიანი ვექტორისთვის. რიცხვების ჩაწერა ვექტორში ასევე გააფორმეთ ფუნქციის სახით.

2. დაწერეთ ფუნქცია, რომლის პარამეტრი არის ნამდვილ რიცხვთა ორგანზომილებიანი ვექტორი M × N. ვექტორის განზომილებები M და N წარმოადგენს კონსტანტებს. ფუნქციამ უნდა დაითვალოს და დააბრუნოს ვექტორის:
   ა) არაუარყოფითი ელემენტების რაოდენობა;
   ბ) იმ ელემენტების ჯამი, რომლებიც ეკუთვნიან [-10, 15] შუალედს;
   გ) იმ ელემენტების რაოდენობა, რომლებიც არ ეკუთვნიან [2, 30] შუალედს.

   გამოიყენეთ ფუნქცია პროგრამაში კლავიატურიდან შევსებული ორგანზომილებიანი ვექტორისთვის და დაბეჭდეთ შედეგი.

3. დაწერეთ პროგრამა, რომლებიც ნამდვილ რიცხვთა M x N ვექტორს შეავსებს კლავიატურიდან შემოტანილი რიცხვებით, დაითვლის რიგით მეორე სტრიქონის ელემენტების ჯამს, რიგით მესამე სვეტის ელემენტების ჯამს და დაბეჭდავს შედეგს. ვექტორთან ყველა მოქმედებისთვის დაწერეთ და პროგრამაში გამოიყენეთ სათანადო ფუნქციები.

გაარჩიეთ შესაბამისი პროგრამა :

```
#include <iostream>
#include <iomanip>
#include <vector>
using namespace std;
const int M = 3, N = 4;
typedef vector<double> row;
typedef vector< row > matrix;
void fillMatrix(matrix & x);
void printMatrix(matrix x);
int Row2(matrix x);
int Column3(matrix x);
int main(){
   row r(N);
   matrix vec(M, r);
   fillMatrix(vec);
   printMatrix(vec);
   int sum = Row2(vec);
   cout<<"Sum of second row's elements = "<<sum<<endl;
   sum = Column3(vec);
   cout<<"Sum of third column's elements = "<<sum<<endl;
   return 0;
}
void fillMatrix(matrix & x){
    for(int i=0; i<x.size(); i++)
       for(int j=0; j<x[i].size(); j++)
          cin >> x[i][j];
}
void printMatrix(matrix x){
   for(int i=0; i< x.size(); i++){
      for(int j=0; j< x[i].size(); j++)
         cout <<setw(7)<<x[i][j];
      cout<<endl;
   }
   cout<<endl;
}
int Row2(matrix x){
    int s =0;
    for(int k=0; k<x[1].size(); ++k)
        s += x[1][k];
    return s;
}
int Column3(matrix x){
    int s =0;
    for(int k=0; k<x.size(); ++k)
        s += x[k][2];
    return s;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
1 4 6 8 0 3 5 12 -7 -21 45 10
      1       4       6       8
```

```
      0       3       5      12
     -7     -21      45      10
Sum of second row's elements = 20
Sum of third column's elements = 56
Press any key to continue . . .
```

4. დაწერეთ ფუნქცია, რომლის პარამეტრი არის მთელ რიცხვთა ორგანზომილებიანი ვექტორი $A(M\times K)$. ვექტორის განზომილებები M და K წარმოადგენს კონსტანტებს. ფუნქციამ უნდა დაადგინოს და დაბეჭდოს ვექტორის უდიდესი ელემენტის ინდექსები. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კონკრეტული ორგანზომილებიანი ვექტორისთვის.

5. მონაცემების ფაილი წარმოადგენს $M\times N$ მართკუთხა ფორმის ნაკვეთის გეგმას წვიმის შემდეგ, სადაც სიმბოლო `'.'`-ით აღნიშნულია მშრალი ნაწილები, გუბეები კი – სიმბოლო `'0'`-ით. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც წაიკითხავს ინფორმაციას ფაილიდან და შემდეგ დაითვლის და დააბრუნებს:
   ა) ნაკვეთის მშრალი უბნების რაოდენობას;
   ბ)* იმ გუბეების რაოდენობას, რომლებიც ნაკვეთის ნაპირებთან მდებარეობს.

   ფუნქცია შექმენით სამი ხერხით: 1). მონაცემების განთავსებით ორგანზომილებიან სიმბოლური ტიპის ვექტორში; 2). მონაცემების განთავსებით სტრიქონების ვექტორში; 3). ვექტორის შემოღების გარეშე.

6. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაითვლის მთელ რიცხვთა $A(N\times N)$, $N=4$ ვექტორის რიგით პირველი და მესამე სტრიქონის ელემენტების ჯამს. გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში კონკრეტული ორგანზომილებიანი ვექტორისთვის.

7. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაბეჭდავს ნამდვილ რიცხვთა $B(N\times M)$, $N=3$, $M=4$ ვექტორის:
   ა) მაქსიმალური ელემენტის სიდიდეს;
   ბ) მინიმალური ელემენტის ინდექსებს;
   გ) უდიდესი ელემენტის სიდიდესა და მის ინდექსებს;
   დ) უდიდესი და უმცირესი ელემენტების ჯამს.

   გამოიყენეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში ორგანზომილებიანი ვექტორისთვის, რომლის ელემენტებიც წაიკითხეთ `reals.txt` ფაილიდან.

8. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც $A(N\times M)$ ვექტორში, სადაც N და M მთელი კონსტანტებია
   ა) მოძებნის K რიცხვის ტოლ ელემენტს და დააბრუნებს **`true`**-ს, თუ ასეთი ელემენტი ვექტორში არის. წინააღმდეგ შემთხვევაში დააბრუნებს **`false`**-ს. K–ს მნიშვნელობა შემოიტანეთ კლავიატურიდან;
   ბ) მოძებნის [-5, 100] დიაპაზონიდან ერთ-ერთ რიცხვს;
   გ) დაითვლის მინიმალური ელემენტის ტოლი ელემენტების რაოდენობას;
   დ) დაითვლის მაქსიმალური ელემენტისაგან განსხვავებული ელემენტების რაოდენობას.

9. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დაითვლის მთელ რიცხვთა $P(M\times N)$, $M=4$, $N=3$ ვექტორის:
   ა) 17-ის ჯერადი ელემენტების ჯამს;
   ბ) დადებითი რიცხვების რაოდენობას;
   გ) კენტი რიცხვების საშუალო არითმეტიკულს;
   დ) კენტინდექსიანი სტრიქონების ელემენტების ჯამს.

10. მთელ რიცხვთა `A(NxN)`(მაგალითად, `N=5`) ორგანზომილებიანი ვექტორი შევსებულია კლავიატურიდან შემოტანილი რიცხვებით. შეამოწმეთ, წარმოადგენს თუ არა იგი

“მაგიურ კვადრატს”. კვადრატულ ვექტორს უწოდებენ “მაგიურ კვადრატს”, თუ მისი ყველა სტრიქონის, ყველა სვეტის და ორივე დიაგონალის ელემენტების ჯამი ტოლია.

11. დაწერეთ ფუნქცია, რომლის პარამეტრებია მთელ რიცხვთა ორგანზომილებიანი ვექტორი და მთელი X რიცხვი და რომელიც გაამრავლებს ვექტორს X -ზე.

12*. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც პარამეტრებად მიიღებს ნამდვილ რიცხვთა სამ ორგანზომილებიან ვექტორს და პირველი ორის ჯამს ჩაწერს მესამეში.

13*. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც პარამეტრებად მიიღებს მთელ რიცხვთა სამ ორგანზომილებიან ვექტორს და პირველი ორის ნამრავლს ჩაწერს მესამეში.

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- ორგანზომილებიან ვექტორთან მუშაობა

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: ჩაწერეთ ორგანზომილებიან `B(M x N),(M=5; N=3)` ვექტორში 15 შემთხვევითი რიცხვი [-10, 30] შუალედიდან, შემდეგ იპოვეთ ვექტორის ლუწი ელემენტების ჯამი და დაბეჭდეთ. ვექტორის შევსება და ლუწების ჯამის გამოთვლა გააფორმეთ ფუნქციების სახით.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////////////////
// პროგრამა: ორგანზომილებიანი ვექტორის შემთხვევითი რიცხვებით
//           შევსება და ლუწი ელემენტების ჯამის პოვნა
//////////////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <iomanip>
#include <ctime>
#include <vector>
using namespace std;
const int M = 5, N = 3;
void fillMatrix(vector< vector<int> > & a);
void printMatrix(vector< vector<int> > a);
bool Even(int x);
int sumEven(vector< vector<int> > a);
int main(){
   vector<int> row(N);
   vector< vector<int> > B(M, row);
   fillMatrix(B);
   printMatrix(B);
   int S = sumEven(B);
   cout<<"Sum of even elements = "<<S<<endl;
   return 0;
}
void fillMatrix(vector< vector<int> > & a){
     srand(time(NULL));
     for(int i=0; i<M; i++)
       for(int j=0; j<N; j++)
          a[i][j] = rand()%41 - 10;
}
bool Even(int x){
   return x%2 == 0;
}
int sumEven(vector< vector<int> > a){
   int sum =0;
   for(int i=0; i<M; i++)
      for(int j=0; j<N; j++)
         if( Even(a[i][j]) )
            sum += a[i][j];
   return sum;
}
void printMatrix(vector< vector<int> > a){
   for(int i=0; i<M; i++)
   {
      for(int j=0; j<N; j++)
         cout <<setw(9)<<a[i][j];
```

```
      cout<<endl;
   }
   cout<<endl;
}
```

დავალება:

ა). შეასრულეთ პროგრამა რამდენიმეჯერ, ახსენით `setw` მანიპულატორის დანიშნულება;

ბ). ახსენით `srand(time(NULL));` ფუნქციის მოქმედება.

ამოცანა 2: `V(MxN)` ორგანზომილებიან ვექტორში ნამდვილი რიცხვებია. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დააბრუნებს ვექტორის უდიდეს ელემენტს. რიცხვები ვექტორში ჩაწერეთ `reals.in` ფაილიდან. ამისათვის ასევე დაწერეთ ფუნქცია. პროგრამაში გამოიყენეთ ორივე ფუნქცია და დაბეჭდეთ უდიდესი ელემენტი.

```
//////////////////////////////////////
//  პროგრამა: ორგანზომილებიან ვექტორში
//            უდიდესი ელემენტის პოვნა
//////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
#include <iomanip>
#include <vector>
using namespace std;
const int M = 3, N = 4;
typedef vector<double> row;
typedef vector< row > matrix;
void fillMatrix(matrix & x);
void printMatrix(matrix x);
double maxElem(matrix x);
int main(){
   row R(N);
   matrix V(M, R);
   fillMatrix(V);
   printMatrix(V);
   double Max = maxElem(V);
   cout<<"Udidesia "<<Max<<endl;
   return 0;
}
void fillMatrix(matrix & x){
    ifstream fin("reals.in");
     for(int i=0; i<x.size(); i++)
       for(int j=0; j<x[i].size(); j++)
          fin >> x[i][j];
}
void printMatrix(matrix x){
   for(int i=0; i< x.size(); i++)
   {
      for(int j=0; j< x[i].size(); j++)
         cout <<setw(10)<<x[i][j];
      cout<<endl;
   }
   cout<<endl;
}
double maxElem(matrix x){
   double max = x[0][0];
   for(int i=0; i<x.size(); i++)
      for(int j=0; j<x[i].size(); j++)
         if(x[i][j] > max)
            max = x[i][j];
```

```
    return max;
}
```

დავალება:

ა). შექმენით `reals.in` ფაილი და ჩაწერეთ მასში 12 ნამდვილი რიცხვი

ბ). შეასრულეთ პროგრამა და შეამოწმეთ მიღებული შედეგი.

ამოცანა 3: `A(MxN)` ორგანზომილებიან ვექტორში მთელი რიცხვებია. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც გაცვლის ვექტორის უმცირესი ელემენტის მქონე სტრიქონს და ბოლო სტრიქონს. რიცხვები ვექტორში ჩაწერეთ კლავიატურიდან.. პროგრამაში დაბეჭდეთ გარდაქმნილი ვექტორი.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////
//  პროგრამა: ორგანზომილებიან ვექტორში
//           სტრიქონების გაცვლა
//////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <iomanip>
#include <vector>
using namespace std;
const int M = 3, N = 4;
typedef vector<int> row;
typedef vector< row > matrix;
void fillMatrix(matrix & x);
void printMatrix(matrix x);
void Transform(matrix& x);
int main(){
   row R(N);
   matrix A(M, R);
   fillMatrix(A);
   Transform(A);
   printMatrix(A);
   return 0;
}
void Transform(matrix& x){
   int min = x[0][0], rowIndex =0;
   for(int i=0; i<x.size(); i++)
      for(int j=0; j<x[i].size(); j++)
         if(x[i][j] < min){
            min = x[i][j];
            rowIndex = i;
         }
   row temp;
   temp = x[rowIndex]; x[rowIndex] = x[M-1];
   x[M-1] = temp;
}
void fillMatrix(matrix & x){
    for(int i=0; i<x.size(); i++)
       for(int j=0; j<x[i].size(); j++)
          cin >> x[i][j];
}
void printMatrix(matrix x){
   for(int i=0; i<x.size();  i++){
      for(int j=0; j<x[i].size();  j++)
         cout <<setw(9)<<x[i][j];
      cout<<endl;
   }
   cout<<endl;
```

}

დავალება:

ა). გაუშვით პროგრამა შესრულებაზე, შეიტანეთ 12 მთელი რიცხვი და დააკვირდით მიღებულ შედეგს;

ბ). ახსენით `Transform` ფუნქციის ალგორითმი.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. `V(M x N)` ორგანზომილებიამ ვექტორში ნამდვილი რიცხვებია. დაწერეთ ფუნქცია, რომელიც დააბრუნებს ვექტორის უმცირესი ელემენტის ინდექსებს. რიცხვები ვექტორში ჩაწერეთ `reals.in` ფაილიდან. ამისათვის ასევე დაწერეთ ფუნქცია. პროგრამაში გამოიყენეთ ორივე ფუნქცია და დაბეჭდეთ უმცირესი ელემენტი და მისი ინდექსები.

გაარჩიეთ შესაბამისი `C++` -პროგრამა:

```
////////////////////////////////////////////////
//  პროგრამა: ორგანზომილებიან ვექტორში უმცირესი
//            ელემენტის ინდექსების პოვნა
////////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <fstream>
#include <iomanip>
#include <vector>
using namespace std;
const int M = 4, N = 3;
typedef vector<double> row;
typedef vector< row > matrix;
void fillMatrix(matrix & x);
void printMatrix(matrix x);
int Indexes(matrix x, int& rowInd);
int main(){
   row R(N);
   matrix V(M, R);
   fillMatrix(V);
   printMatrix(V);
   int minRInd, minCInd;
   minCInd = Indexes(V, minRInd);
   cout<<"Umsiresia "<<V[minRInd][minCInd]<<endl
        <<minRInd<<" striqonSi, "<<minCInd<<" svetSi\n";
   system("PAUSE");
   return 0;
}
void fillMatrix(matrix & x){
    ifstream fin("reals.in");
     for(int i=0; i<M; i++)
       for(int j=0; j<N; j++)
          fin >> x[i][j];
}
void printMatrix(matrix x){
  for(int i=0; i<M; i++){
     for(int j=0; j<N; j++)
        cout <<setw(11)<<x[i][j];
     cout<<endl;
  }
  cout<<endl;
}
int Indexes(matrix x, int& rowInd){
   int columnInd;
```

```
    rowInd = columnInd =0;
    for(int i=0; i<M; i++)
       for(int j=0; j<N; j++)
           if(x[i][j] < x[rowInd][columnInd]){
                rowInd = i;
                columnInd = j;
           }
     return columnInd;
}
```

დავალება:

ა). შექმენით ფაილი `reals.in` და ჩაწერეთ მასში `M x N` ნამდვილი რიცხვი, მაგალითად:

```
0.25 -12.5 6.45 0 10.89 1.125 -5.7 19.65 -31.5 -3.67 9.75 0.05
```

ბ). შეასრულეთ პროგრამა. დარწმუნდით, რომ მიიღეთ შედეგი

```
   0.25   -12.5    6.45
      0   10.89   1.125
   -5.7   19.65   -31.5
  -3.67    9.75    0.05

Umsiresia -31.5
2 striqonSi, 2 svetSi
Press any key to continue . . .
```

2. დაწერეთ პროგრამა, რომელიც განსხვავებულ ნამდვილ რიცხვთა კვადრატული ვექტორისთვის გამოითვლის და დაბეჭდავს უდიდესი ელემენტის მქონე სტრიქონის და უმცირესი ელემენტის მქონე სვეტის სკალარულ ნამრავლს. სტრიქონის და სვეტის სკალარული ნამრავლი არის მათი რიგით შესაბამისი კომპონენტების ნამრავლების ჯამი. ვექტორის განზომილება შემოიღეთ მუდმივის სახით, ელემენტები შემოიტანეთ კლავიატურიდან.

3. მთელ რიცხვთა `C(MxN)` ორგანზომილებიანი ვექტორი შევსებულია კლავიატურიდან შემოტანილი რიცხვებით. დაბეჭდეთ ვექტორის ყველა "უნაგირა წერტილის" ინდექსები. ვექტორის ელემენტს უწოდებენ "უნაგირა წერტილს", თუ იგი უდიდესია თავის სტრიქონში და ამავე დროს უმცირესია თავის სვეტში.

4. მე-11 პრაქტიკული მეცადინეობის ყველა დავალებისთვის დაწერეთ, გამართეთ და შეასრულეთ შესაბამისი პროგრამები.

პრაქტიკული მეცადინეობა № 12

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- ფუნქციის არგუმენტების მნიშვნელობები გულისხმობის პრინციპით
- მომხმარებლის მიერ განსაზღვრული ტიპის შექმნა `class` –ის საშუალებით

მასალა დამოუკიდებლად გაცნობისათვის:

1. ფუნქციის პარამეტრების ინიციალიზება (არგუმენტების მნიშვნელობები გულისხმობის პრინციპით)

№	ფუნქცია	ფუნქციის გამოძახება - main()-ის ფრაგმენტი

1	/* გამოძახების შესაბამისად ფუნქცია ითვლის ან ორი მთელი რიცხვის, ან სამი მთელი რიცხვის ჯამს */
	int Sum(int a, int b, int c = 0){
	return a + b + c;
	}
		int main(){
		cout<<Sum(-12,49)<<endl;
		cout<<Sum(15,-5,10)
		<<endl;
		. . .
		}

2	// იგივე ფუნქცია
	
	int Sum(int a, int b, int c = 0){
	return a + b + c;
	}
		int main(){
		int x =5, y =9, u =14;
		cout<<x<<" + "<<y<<" = "
		<<Sum(x,y)<<endl;
		cout<<x<<" + "<<y<<" + "
		<<u<<" = "
		<<Sum(x,y,u)<<endl;
		. . .
		}

3	/* გამოძახების შესაბამისად ფუნქცია ითვლის ან ორი ნამდვილი რიცხვის, ან სამი ნამდვილი რიცხვის ნამრავლს */
	double Product(double a, double b,
	double c = 1)
	{
	return a * b * c;
	}
		int main(){
		cout<<Product(2,3)
		<<endl;
		cout<<Product(2,3,5)
		<<endl;
		. . .
		}

4	// იგივე ფუნქცია
	
	double Product(double a, double b,
	double c = 1)
	{
	return a * b * c;
	}
		int main(){
		double x =5, y =7, z =3;
		cout<<x<<" * "<<y<<" = "
		<<Product(x,y)<<endl;
		cout<<x<<" * "<<y<<" * "
		<<z<<" = "
		<<Product(x,y,z)<<endl;
		. . .
		}

5	/* ფუნქცია ითვლის ორი ნამდვილი რიცხვის ჯამს */
	float Add(float a =2, float b=3){
	return a + b;
	}
		int main(){
		cout<<Add()<<endl;
		cout<<Add(3)<<endl;
		cout<<Add(-5,9)<<endl;
		. . .
		}

6	/* ფუნქცია ითვლის სამი მთელი რიცხვის ნამრავლს */
	int Mult(int a =2, int b=3, int c =4){
	return a * b * c;
	}
		int main(){
		cout<<Mult()<<endl;
		cout<<Mult(5)<<endl;
		cout<<Mult(7,4)<<endl;
		cout<<Mult(3,5,6)<<endl;
		. . .

		}

7	/* გამოძახების მიხედვით ფუნქცია ბეჭდავს შესაბამის სახელს */
	void Name(string s = "Alex"){
	cout<<s<<endl;
	}
		int main(){
		Name();
		Name("George");
		Name("Mari");
		. . .
		}

2. ახალი ტიპის შემოღება ღია (public) წევრებიანი class –ის საშუალებით:

№	ტიპის განსაზღვრა	პროგრამის ფრაგმენტი

1	// კლასი აღწერს წრეს:
	class Circle
	{
	public:
	double radius;
	double Area(void)
	{
	return 3.14* radius* radius;
	}
	double Perimeter(void)
	{
	return 2*3.14* radius;
	}
	};
		int main ()
		{
		Circle x;
		x.radius = 2.01;
		cout << "radius= "
		<<x.radius<<endl;
		cout << "Area= "
		<<x.Area()<<endl;
		cout << "perimeter= "
		<<x.Perimeter()<<endl;
		return 0;
		}

2	// მოცემული კლასის ერთი ობიექტისთვის მეორეს მინიჭება
	class Circle
	{
	public:
	double radius;
	double Area(void)
	{
	return 3.14* radius* radius;
	}
	double Perimeter(void)
	{
	return 2*3.14* radius;
	}
	};
		int main () {
		Circle x,y;
		y.radius = 2.01;
		x = y;
		cout << "radius="
		<<x.radius<<endl;
		cout << "Area= "
		<<x.Area()<<endl;
		cout << "perimeter= "
		<<x.Perimeter()<<endl;
		return 0;
		}

3	/* კლასი აღწერს წრეს ცხადი კონსტრუქტორით ახალი ობიექტის კონსტრუირებისთვის */
	class Circle
	{
	public:
	double radius;
	Circle(double value) {
	radius = value;
	}
	double Area() {
	return 3.14* radius* radius;
	}
	double Perimeter() {
	return 2*3.14* radius;
	}
	};
		/* ეს საშუალებას გვაძლევს, რომ კლასის ობიექტები განვსაზღვროთ ისევე ადვილად, როგორც მარტივი ტიპის ცვლადები: */
		int main ()
		{
		Circle x(2.1);
		cout << "radius= "
		<<x.radius<<endl;
		cout << "Area= "
		<<x.Area()<<endl;
		cout << "perimeter= "
		<<x.Perimeter()<<endl;
		return 0;
		}

4	/* იგივე კლასი */
	class Circle
	{
	  public:
	  double radius;
	  Circle(double value) {
	  radius = value;
	  }
	  double Area() {
	  return 3.14* radius* radius;
	  }
	  double Perimeter() {
	  return 2*3.14* radius;
	  }
	};
		/* მაგრამ, ამ შემთხვევაში ვკარგავთ წინა მაგალითში მოყვანილ ობიექტის ინიციალიზაციის გზას: */
		int main ()
		{
		  Circle x; // შეცდომაა !
		  x.radius = 2.1;
		  cout << "radius= "
		  <<x.radius<<endl;
		  cout << "Area= "
		  <<x.Area()<<endl;
		  cout << "perimeter= "
		  <<x.Perimeter()<<endl;
		  return 0;
		}

5	/* გამოსავალს წარმოადგენს წრის კლასზე განაცხადის გაკეთების დროს ორი, არაცხადი და ცხადი კონსტრუქტორის გათვალისწინება ახალი ობიექტის კონსტრუირებისთვის */
	class Circle
	{
	  public:
	  double radius;
	  Circle(double value)
	  {
	  radius = value;
	  }
	  Circle()
	  {
	  radius = 0;
	  }
	  double Area()
	  {
	  return 3.14* radius* radius;
	  }
	  double Perimeter()
	  {
	  return 2*3.14* radius;
	  }
	};
		int main ()
		{
		  Circle x;
		  Circle y(1.1);
		  cout << "x.radius= "
		  << x.radius<<endl;
		  cout << "x.Area= "
		  << x.Area()<<endl;
		  cout << "x.perimeter= "
		  << x.Perimeter()<<endl;
		  cout << "y.radius= "
		  << y.radius<<endl;
		  cout << "y.Area= "
		  << y.Area()<<endl;
		  cout << "y.perimeter= "
		  << y.Perimeter()<<endl;
		  return 0;
		}

სააუდიტორიო სამუშაო:

1. დაწერეთ ფუნქცია Volume, რომელიც საზოგადოდ გამოითვლის მართკუთხა პარალელეპიპედის მოცულობას სამი პარამეტრის - სიმაღლე, ფუძის სიგრძე და სიგანე – მიხედვით. იგულისხმეთ, რომ ძალიან ხშირად გვხვდება ისეთი ფიგურები, რომლისთვისაც სიგრძე არის 3-ის, სიგანე 4-ის, ხოლო სიმაღლე 1-ის ტოლი. გამოიძახეთ ფუნქცია ძირითად პროგრამაში და დაბეჭდეთ: პარალელეპიპედის ფუძის ფართობი, სხვადასხვა პარალელეპიპედის მოცულობა.

```
#include <iostream>
using namespace std;
int Volume(int h =1, int x =3, int y =4);
// h - პარალელეპიპედის სიმაღლე
```

```
// x - პარალელეპიპედის ფუძის სიგრძე,
// y - პარალელეპიპედის ფუძის სიგანე,
int main()
{
   cout<< Volume()<<endl  // ფუძის ფართობი
       << Volume(2)<<endl
       << Volume(3,5)<<endl
       << Volume(4,5,8)<<endl;

   return 0;
}
int Volume(int h, int x, int y)
{
   return x * y * h;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
12
24
60
160
Press any key to continue . . .
```

2. `class` –ის საშუალებით შემოიღეთ ტიპი, რომელიც აღწერს მართკუთხედს. მართკუთხედის კლასის ღია (**public**) ველებია: სიგრძე და სიგანე. კლასის ფუნქციებია: ცხადი კონსტრუქტორი, მონაცემების (მისი სიგრძე, სიგანე და ფართობი) ბეჭდვის ფუნქცია, მართკუთხედის ფართობის გამოთვლის ფუნქცია. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი ობიექტზე – მართკუთხედზე და დაბეჭდეთ მისი მონაცემები. შემდეგ გააორმაგეთ ობიექტის ველების მნიშვნელობები და დაბეჭდეთ მიღებული მართკუთხედის მონაცემები. შემდეგ მიანიჭეთ ველებს განსხვავებული მნიშვნელობები და კიდევ ერთხელ დაბეჭდეთ მიღებული მართკუთხედის მონაცემები.

```
#include <iostream>
using namespace std;
class Rectangle
{
  public:
     double length;
      double width;
      Rectangle(double lengtValue, double widthValue)
      {
          length = lengtValue;
          width = widthValue;
      }
      double Area()
      {
         return length * width;
      }
      void printInfo()
      {
         cout<<"Length is equal to  "<< length <<endl;
         cout<<"width is equal to  "<< width <<endl;
         cout<<"area is equal to  "<< Area() <<endl;
      }
};
int main()
{
   Rectangle rec(3.0,2.1);
   rec.printInfo();
```

```
    rec.length *=2;
    rec.width *=2;
    cout<< endl <<"new data:"<<endl<<endl;
    rec.printInfo();

    rec.length = 5.1;
     rec.width = 4.5;
    cout<< endl <<"new data:"<<endl<<endl;
    rec.printInfo();
    return 0;
}
```

პროგრამის შესრულების ერთ-ერთი შედეგია:

```
Length is equal to  3
width is equal to  2.1
area is equal to  6.3

new data:

Length is equal to  6
width is equal to  4.2
area is equal to  25.2

new data:

Length is equal to  5.1
width is equal to  4.5
area is equal to  22.95
Press any key to continue . . .
```

3. შექმენით კლასი Sea ღია (**public**) მონაცემებით: ზღვის დასახელება და სიღრმე. კლასში იქონიეთ პარამეტრებიანი კონსტრუქტორი და ფუნქცია, რომელიც ბეჭდავს კლასის ობიექტის მონაცემებს. Seas.txt ფაილი შეიცავს ინფორმაციას ორი ზღვის შესახებ. პროგრამაში შექმენით კლასის ორ ობიექტი – Seas.txt ფაილის ინფორმაციის საფუძველზე და შემდეგ დაბეჭდეთ უდიდესი სიღრმის მქონე ზღვის მონაცემები.

```
#include <iostream>
#include <string>
#include <fstream>
using namespace std;
class Sea
{
  public:
    string name;
    int depth;
    Sea(string n, int d) : name(n),depth(d){ }
    void printInfo(){
      cout<<name<<" Sea - "
          <<depth<<endl;
   }

};

int main()
{
   string N; int D;
   ifstream fin("Seas.txt");
   fin>>N>>D;
```

```
    Sea A(N, D);
    fin>>N>>D;
    Sea B(N, D);
    cout<<"Maximum depth have\n";
    if(A.depth > B.depth)
        A.printInfo();
    else B.printInfo();
    return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

Seas.txt ფაილი	გამოტანის ეკრანი
Black 2938 Norwegian 3860	Maximum depth have Norwegian Sea - 3860 Press any key to continue . . .

4. ფაილში "Volcanoes.txt" წერია რამდენიმე ვულკანის მონაცემი – სახელი, სიმაღლე და ადგილმდებარეობა. მაგალითად :

```
etna                 3340     italy
hekla                1491     island
vezuv                1277     italy
kluchevskaia_sopka   4750     kamchatka
fuziama              3776     japan
krakatau             813      azia
kamerun              4070     kamerun
strombol             926      italy
hipokatepetl         5452     mexico
```

შექმენით კლასი ვულკანისთვის, რომლის ღია ველები იქნება სახელი, სიმაღლე და ადგილმდებარეობა, შემდეგ რიგრიგობით წაიკითხეთ ვულკანების მონაცემები ამ ფაილიდან და დაბეჭდეთ ყველაზე მაღალი ვულკანის მონაცემები.

```
#include <iostream>
#include <string>
#include <fstream>
using namespace std;
class Volcano
{
  public:
    string name;
    int height;
    string location;
     Volcano(string n, int h, string l) :
                name(n),height(h),location(l){ }
     void printVolcano(){
         cout<< name <<", its height is " << height <<" meters"<<endl
             <<"It is located in "<< location<<endl;
     }
};

int main()
{
    string N, Loc; int D;
    ifstream fin("Volcanoes.txt");
    fin>>N>>D>>Loc;
    Volcano maxVolcano(N, D, Loc);
    while(fin>>N>>D>>Loc)
    {
        Volcano nextxVolcano(N, D, Loc);
```

```
        if(maxVolcano.height < nextxVolcano.height)
            maxVolcano = nextxVolcano;
    }
    cout<<"Maximum height has volcano\n";
    maxVolcano.printVolcano();
    return 0;
}
```

პროგრამა დაბეჭდავს:

```
Maximum height has volcano
hipokatepetl, its height is 5452 meters
It is located in mexico
Press any key to continue . . .
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. დაწერეთ ფუნქცია **int** Sum(vector<**int**> a, **int** A =2, **int** B =10); რომელიც მთელ რიცხვთა a ვექტორისთვის შეკრებს მის ელემენტებს, დაწყებული A –ურიდან და დამთავრებული B –ურით (ჩათვლით), შემდეგ დააბრუნებს ამ ჯამს. რიცხვები ვექტორში შეიტანეთ კლავიატურიდან, არანაკლებ 15 მთელი რიცხვისა. ვექტორის შევსება გააფორმეთ ფუნქციის სახით. ძირითად პროგრამაში გამოიძახეთ Sum ფუნქცია ვექტორის:
   ა) რიგით მე-5-დან მე-11-მდე რიცხვის ჯამის დასადგენად;
   ბ) რიგით მე-7-დან მე-15-მდე რიცხვის ჯამის დასათვლელად;
   გ) რიგით მე-2-დან მე-10-მდე რიცხვის ჯამის დასათვლელად;
   დ) რიგით მე-3-დან მე-9-მდე რიცხვის ჯამის დასათვლელად;

   გაარჩიეთ გ) და დ) –ს შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <vector>
using namespace std;
const int M =15;
void fillVector(vector<int>& a);
int Sum(vector<int> a, int A =2, int B =10);
int main()
{
   vector<int> V, X;
   fillVector(V);
   cout<<"RrigiT me-2-dan me-10-mde (maTi chaTvliT)"
         "\n elementebis jami = "
        <<Sum(V)<<endl;
   fillVector(X);
   cout<<"RrigiT me-3-dan me-9-mde (maTi chaTvliT)"
         "\n elementebis jami = "
        <<Sum(X, 3, 9)<<endl;
   return 0;
}
void fillVector(vector<int>& a){
  int element;
  cout<<"\nEnter "<<M<<" ints\n";
  for(int i=0; i<M; i++)
  {
     cin>>element;
     a.push_back(element);
  }
}
int Sum(vector< int > a, int A, int B){
```

```
    int s =0;
    for(int i=A-1; i<=B-1; i++)
       s += a[i];
    return s;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
Enter 15 ints
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15
RrigiT me-2-dan me-10-mde (maTi chaTvliT)
 elementebis jami = 54

Enter 15 ints
10 5 7 -5 15 25 33 -10 20 0 2 8 -13 38 1
RrigiT me-3-dan me-9-mde (maTi chaTvliT)
 elementebis jami = 85
Press any key to continue . . .
```

2. დაწერეთ ფუნქცია **double** sum(vector<**double**> x, **int** k =10); რომელიც ნამდვილ რიცხვთა x ვექტორისთვის დაითვლის ბოლო k ელემენტის ჯამს. ვექტორში რიცხვები შეიტანეთ reals.txt ფაილიდან, რომელშიც ჩაწერილია არანაკლებ 20 ნამდვილი რიცხვისა. ძირითად პროგრამაში გამოიძახეთ ფუნქცია ვექტორის ბოლო:

   ა) 10 რიცხვის ჯამის დასადგენად;

   ბ) 15 რიცხვის ჯამის დასათვლელად;

   გ) კლავიატურიდან შემოტანილი N (N<=20) რაოდენობის რიცხვის ჯამის დასათვლელად.

   რიცხვების ვექტორში ჩასაწერად ასევე შექმენით ფუნქცია.

   გაარჩიეთ გ) –ს შესაბამისი C++ -პროგრამა:

```
#include <iostream>
#include <fstream>
#include <vector>
using namespace std;
void fillVector(vector<double>& );
double Sum(vector<double> , int k =10);
int main()
{
   vector<double> V;
   fillVector(V);
   cout<<"Ramdeni ricxvis jami vipovoT ? ";
   int N;
   cin>>N;
   cout<<"Veqtoris bolo "<<N<<" ricxvis jami = "
       <<Sum(V, N)<<endl;
   return 0;
}
void fillVector(vector<double>& a){
   ifstream input("reals.txt");
   double element;
   while( input>>element )
       a.push_back(element);
}
double Sum(vector< double > a, int k){
   double s =0;
   for(int i=a.size()-1; i>=a.size()-k; i--)
      s +=a[i];
   return s;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

reals.txt ფაილი	გამოტანის ეკრანი
0.5 -1.5 2.56 18.35 -22.45 40.0 12.75 -50.55 0.25 -11.25 27.33 112.5 0.45 -0.05 24.75 -100.65 95.0 1.125 -34.75 60.5	Ramdeni ricxvis jami vipovoT ? 7 Veqtoris bolo 7 ricxvis jami = 45.925 Press any key to continue . . .

3. კლასი აღწერს ქვეყანას ღია მონაცემებით: ქვეყნის დასახელება, მოსახლეობის რაოდენობა (მლნ.), დაკავებული ტერიტორიის ფართობი (კვ. კმ); კლასის ფუნქციებია: კონსტრუქტორი და ინფორმაციის ბეჭდვის ფუნქცია. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ობიექტზე, დაბეჭდეთ ქვეყნის სახელი, მოსახლეობის რაოდენობა და დაკავებული ტერიტორიის ფართობი (გამოიძახეთ ბეჭდვის ფუნქცია).

4. შექმენით კლასი `Student`, რომელიც ახასიათებს სტუდენტს ღია მონაცემებით: გვარი, სახელი, ჯგუფის ნომერი და ქულა. კლასში იქონიეთ ფუნქციები – კონსტრუქტორი და ფუნქცია, რომელიც დაბეჭდავს ინფორმაციას სტუდენტის შესახებ. `Students.txt` ფაილი შეიცავს ინფორმაციას ორი სტუდენტის შესახებ. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ორ ობიექტზე – სტუდენტზე და დაბეჭდეთ იმ სტუდენტის მონაცემები, რომლის ქულაც მეტია.

5. შემოიღეთ კლასი რომელიც შეინახავს კომპიუტერის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მის სახელს, მეხსიერების მოცულობას და ღირებულებას. კლასში განსაზღვრეთ რამდენიმე საჭირო ფუნქცია.

   ა) ძირითად პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი ამ ტიპის სამ `C1, C2` და `C3` ობიექტზე და მოიყვანეთ პროგრამული კოდის ფრაგმენტი, რომლის საშუალებითაც ამ ობიექტების ველებში მნიშვნელობების შეტანა მოხდება კლავიატურიდან;

   ბ) მოიყვანეთ პროგრამული კოდის ფრაგმენტი, რომელიც დაადგენს თუ რომელია უფრო ძვირად ღირებული კომპიუტერი და დაბეჭდავს მის მონაცემებს;

   გ) მოიყვანეთ პროგრამული კოდის ფრაგმენტი, რომელიც გაარკვევს თუ ამ სამ კომპიუტერს შორის რომლის სახელია უფრო მოკლე და დაბეჭდავს მისი მეხსიერების მოცულობას.

6. შემოიღეთ კლასი, რომელიც შეინახავს ბიბლიოთეკის წიგნის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: ავტორის გვარს და მკითხველების მიერ ამ წიგნის გატანის რაოდენობას. კლასში განსაზღვრეთ რამდენიმე საჭირო ფუნქცია.

   ა) ძირითად პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი ამ ტიპის სამ `B1, B2` და `B3` ობიექტზე და მიანიჭეთ თითოეულის ველებს რაიმე მნიშვნელობები;

   ბ) მოიყვანეთ პროგრამული კოდის ფრაგმენტი, რომელიც დაადგენს ნაკლებად პოპულარულ წიგნს და დაბეჭდავს მისი ავტორის გვარს;

   გ) მოიყვანეთ პროგრამული კოდის ფრაგმენტი, რომელიც გაარკვევს თუ ამ სამ წიგნს შორის რომლის დასახელებაა უფრო გრძელი და დაბეჭდავს ინფორმაციას ამ წიგნის შესახებ.

7. შექმენით კლასი `bankAccount`, რომელიც აღწერს ბანკის ანგარიშს. კლასის ღია მონაცემებია: ბანკის დასახელება, კლიენტის სახელი და გვარი, ანგარიშის ნომერი და ანგარიშზე არსებული თანხა. კლასში გაითვალისწინეთ კონსტრუქტორი და მონაცემების ბეჭდვის გუნქცია. ფაილში `"account.txt"` წერია რამდენიმე ანგარიშის შესახებ ინფორმაცია. პროგრამაში რიგრიგობით წაიკითხეთ ანგარიშების მონაცემები ამ ფაილიდან და დაბეჭდეთ ყველა იმ ანგარიშის მონაცემები, სადაც თანხა 500 ლარზე მეტია.

8. შექმენით კლასი, რომელიც შეინახავს მწვერვალის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: მის სახელს და სიმაღლეს (ეს არის კლასის ღია მონაცემები). კლასში იქონიეთ კონსტრუქტორი და მწვერვალის მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია. `"info.txt"` ფაილში წერია რამდენიმე მწვერვალის შესახებ ინფორმაცია. პროგრამაში რიგრიგობით წაიკითხეთ მწვერვალების მონაცემები ამ ფაილიდან და დაბეჭდეთ ყველაზე მაღალი მწვერვალის მონაცემები.

9. `"data.in"` ფაილში წერია მდინარეების შესახებ ინფორმაცია. მაგალითად :

```
alazani    407
rioni      333
enguri     206
xrami      220
mtkvari    1515
iori       351
sufsa      117
aragvi     112
```

შემოიღეთ კლასი `River`, რომელიც აღწერს მდინარეს შემდეგი ღია მონაცემებით: დასახელება და სიგრძე. კლასში იქონიეთ კონსტრუქტორი და მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია. დაწერეთ პროგრამა, რომელიც რიგრიგობით წაიკითხეთ მდინარეების მონაცემებს ფაილიდან და

ა) `"data.out"` ფაილში დაბეჭდავს ყველა იმ მდინარის მონაცემებს, რომლის სახელი იწყება `'a'` –ზე ;

ბ) ეკრანზე გამოიტანს ყველაზე მოკლე მდინარის მონაცემებს.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 12

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- ფუნქციის პარამეტრების ინიციალიზება
- მარტივი კლასის მაგალითი

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1: დაწერეთ ფუნქცია, პროტოტიპით

```
void fullName(string ="John", string ="Doe");
```

რომელიც ბეჭდავს მის ორ პარამეტრს – სახელსა და გვარს. ძირითად პროგრამაში მოახდინეთ ფუნქციის ტესტირება.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
//////////////////////////////////////////////
// პროგრამა: ფუნქციის არგუმენტების მნიშვნელობები
//           გულისხმობის პრინციპით
//////////////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
void fullName(string ="John", string ="Doe");
int main(){
   fullName();
   string first_name;
   cout<<"First Name ? ";
   cin>>first_name;
   fullName(first_name);
   string last_name;
   cout<<"Last Name ? ";
   cin>>last_name;
   fullName(first_name, last_name);
   return 0;
}
void fullName(string first, string last){
    cout<<first<<' '<<last<<endl;
}
```

დავალება:

ა). შეასრულეთ პროგრამა, ახსენით რა რიგით ხდება პარამეტრების ჩანაცვლება არგუმენტებით;

ბ). დაამატეთ ფუნქციას სტრიქონის ტიპის მესამე პარამეტრი საწყისი მნიშვნელობით `boss`, რომელიც აღნიშნავს თანამდებობას. მოახდინეთ ახალი ფუნქციის ტესტირება.

მიაქციეთ ყურადღება ფუნქციის პროტოტიპის სინტაქსს და განსაზღვრის დროს ფუნქციის სათაურის სინტაქსს.

ამოცანა 2: შექმენით კლასი `Point2D`, რომელიც აღწერს წერტილს. წერტილის ღია მონაცემებია მისი ორი კოორდინატი. კლასის ფუნქციებია - უპარამეტრო კონსტრუქტორი, კოორდინატების ბეჭდვის ფუნქცია. `main()`–ში გააკეთეთ განაცხადი კლასის ობიექტზე – წერტილზე, დაბეჭდეთ მისი მონაცემები, შემდეგ შეცვალეთ წერტილის კოორდინატები და ისევ დაბეჭდეთ მისი მონაცემები.

შესაბამისი C++ -პროგრამა შემდეგი სახისაა:

```
//////////////////////////////////////////////
//  პროგრამა: Point2D კლასის შექმნა და ტესტირება
//////////////////////////////////////////////
```

```
#include <iostream>
using namespace std;
class Point2D
{
  public:
    int x, y;
    Point2D(){
        x = 0, y = 0;
    }
    void showPoint2D(){
       cout<<"( "<<x<<" , "
          <<y<<" )"<<endl;
    }
};

int main()
{
   Point2D P;
   P.showPoint2D();
   P.x = 10;
   P.showPoint2D();
   P.y = 20;
   P.showPoint2D();
   return 0;
}
```

დავალება:

ა). გაუშვით პროგრამა შესრულებაზე და დააკვირდით მიღებულ შედეგს;

ბ). შეცვალეთ წერტილის კოორდინატების მნიშვნელობები და ისევ შეასრულეთ პროგრამა;

ამოცანა 3: შექმენით კლასი `Student`, რომელიც ახასიათებს სტუდენტს ღია მონაცემებით გვარი, სახელი და ქულა. კლასში იქონიეთ ფუნქციები – უპარამეტრო კონსტრუქტორი და მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ობიექტზე – სტუდენტზე და დაბეჭდეთ ობიექტის მონაცემები.

შესაბამის C++ -პროგრამას აქვს სახე:

```
////////////////////////////////////
//  პროგრამა: Student კლასის შექმნა
//            და ტესტირება
////////////////////////////////////
#include <iostream>
#include <string>
using namespace std;
class Student
{
  public:
      string firstName;
      string lastName;
      int qula;

      Student(){
         firstName = "Maia";
         lastName = "LomiZe";
         qula = 98;
      }
      void printInfo(){
          cout<<firstName<<' '
              <<lastName<<endl
```

```
            <<qula<<endl;
    }
};

int main()
{
   Student X;
   X.printInfo();
   return 0;
}
```

დავალება:

ა). რა ინფორმაციას დაბეჭდავს `printInfo` ფუნქცია, თუ პროგრამაში აღვწერთ კიდევ ერთ `Student` კლასის ობიექტს, და რატომ?

ბ). გადატვირთეთ კონსტრუქტორი: დაამატეთ კლასში პარამეტრებიანი კონსტრუქტორი

```
Student(string first, string last, int q = 100)
{
    firstName = first;
    lastName = last;
    qula = q;
}
```

`main` –ში გააკეთეთ განაცხადი კლასის ობიექტზე და მოახდინეთ მისი ინიციალიზება, მაგალითად ასე:

```
Student Y("Irakli","Beridze");
```

შემდეგ დაბეჭდეთ `Y` ობიექტის ყველა მონაცემი.

გ). დაამატეთ `main` –ში კოდის ფრაგმენტი, რომელიც:
შექმენის კლასის ახალ ობიექტს და მასზე განაცხადისთანავე მოახდინეთ მის ინიციალიზებას კლავიატურიდან შემოტანილი სტუდენტის გვარით, სახელით და ქულით, ხოლო შემდეგ დაბეჭდავს ამ სტუდენტის შესახებ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. შექმენით კლასი `Box` შემდეგი მონაცემებით: სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. კლასში იქონიეთ ფუნქციები – კონსტრუქტორი, მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია და ყუთის მოცულობის გამოთვლის ფუნქცია. `main` –ში გააკეთეთ განაცხადი `Box` კლასის ობიექტზე, დაბეჭდეთ მისი მონაცემები და მოცულობა.
2. მე -12 პრაქტიკული მეცადინეობის ყველა დავალებისთვის დაწერეთ, გამართეთ და შეასრულეთ შესაბამისი პროგრამები.

პრაქტიკული მეცადინეობა № 13

პრაქტიკული მეცადინეობის თემები:

- კლასის პარამეტრებიანი კონსტრუქტორი
- კლასის კონსტრუქტორი, რომლის პარამეტრებს მინიჭებული აქვთ საწყისი მნიშვნელობები
- კონსტრუქტორის გადატვირთვა

მასალა დამოუკიდებლად გაცნობისათვის:

1. `class` –ში სხვადასხვა ტიპის კონსტრუქტორების გამოყენება

№	კლასის განსაზღვრა	კლასის ობიექტის შექმნა და მასთან მუშაობა

1	`// განაცხადი კვადრატის კლასზე`
	`class Square`
	`{`
	`  public:`
	`  double side;`
	`  // პარამეტრიანი კონსტრუქტორი`
	`  Square(double );`
	`  void printSquare();`
	`};`
	`// კლასის ფუნქციების განსაზღვრა`
	`Square::Square(double G){`
	`  side = G;`
	`}`
	`void Square::printSquare(){`
	`  cout<<"side = "<<side<<endl;`
	`}`
		`int main()`
		`{`
		`  Square C(5);`
		`  C.printSquare();`
		`  . . .`
		`}`

2	`// კვადრატის კლასში პარამეტრიანი`
	`// კონსტრუქტორის განსაზღვრა სხვა სახით`
	`class Square`
	`{`
	`  public:`
	`  double side;`
	`  Square(double );`
	`  void printSquare();`
	`};`
	`Square::Square(double G): side(G){ }`
	`void Square::printSquare(){`
	`  cout<<"side = "<<side<<endl;`
	`}`
		`int main()`
		`{`
		`  Square A1(5), A2(2);`
		`  A1.printSquare();`
		`  A2.printSquare();`
		`  . . .`
		`}`

3	`// კონსტრუქტორის გადატვირთვა - კვადრატის`
	`// კლასი ორი კონსტრუქტორით`
	`class Square`
	`{`
	`  public:`
	`  double side;`
	`  // კონსტრუქტორები`
	`  Square( );  // უპარამეტრო`
	`  Square(double );  // პარამეტრიანი`
	`  void printSquare();`
	`};`
	`// კლასის რეალიზების ნაწილი - ფუნქციების`
		`int main(){`
		`  Square A;`
		`  A.printSquare();`
		`  Square B(7);`
		`  B.printSquare();`
		`  . . .`
		`}`

	// განსაზღვრა
	Square::Square( ){
	  side = 10;
	}
	Square::Square(double G){
	  side = G;
	}
	void Square::printSquare(){
	  cout<<"side = "<<side<<endl;
	}	

4	// კვადრატის კლასში კონსტრუქტორების
	// განსაზღვრა სხვა სახით
	class Square
	{
	  public:
	  double side;
	  Square( ):side(10){ }
	  Square(double G):side(G){ }
	  void printSquare();
	};
	void Square::printSquare()
	{
	  cout<<"side = "<<side<<endl;
	}
		int main()
		{
		  Square A;
		  A.printSquare();
		  Square B(7);
		  B.printSquare();
		  . . .
		}

5	/* კვადრატის კლასში კონსტრუქტორის
	პარამეტრის ინიციალიზება. ასეთი კონსტრუქტორი
	ცვლის ორივე – უპარამეტრო და პარამეტრიან –
	კონსტრუქტორს */
	class Square
	{
	  public:
	  double side;
	  Square(double = 3);
	  void printSquare();
	};
	// კლასის ფუნქციების იმპლემენტაცია
	Square::Square(double G)
	{
	  side = G;
	}
	void Square::printSquare()
	{
	  cout<<"side = "<<side<<endl;
	}
		int main()
		{
		  Square A;
		  A.printSquare();
		  Square B(7);
		  B.printSquare();
		  Square C(20), D;
		  C.printSquare();
		  D.printSquare();
		  . . .
		}

6	// კონსტრუქტორის, რომლის პარამეტრსაც აქვს
	// გულისხმობით მნიშვნელობა, განსაზღვრა სხვა
	// სახით
	class Square
	{
	  public:
	  double side;
	  Square(double G = 3) : side(G){ }
	  void printSquare();
	};
	// კლასის ფუნქციის იმპლემენტაცია
		int main()
		{
		  Square A;
		  A.printSquare();
		  Square B(7);
		  B.printSquare();
		  Square C(20), D;
		  C.printSquare();
		  D.printSquare();
		  . . .
		}

	`void Square::printSquare()`
	`{`
	`  cout<<"side = "<<side<<endl;`
	`}`	

7	`// მწვერვალის კლასის აღწერა`
	`class Peak`
	`{`
	`  public:`
	`  string name;`
	`  int height;`
	`  Peak(string = "Ushba", int = 4695);`
	`};`
	`// კლასის რეალიზების ნაწილი`
	`Peak::Peak(string n, int h)`
	`{`
	`  name = n; height = h;`
	`}`
		`int main(){`
		`  Peak P1;`
		`  cout<<"Name : "`
		`  <<P1.name <<endl`
		`  <<"Height : "`
		`  <<P1.height`
		`  <<endl;`
		`  Peak P2("Sxara",5068);`
		`  cout<<"Name : "`
		`  <<P2.name`
		`  <<endl`
		`  <<"Height : "`
		`  <<P2.height`
		`  <<endl;`
		`  . . .`
		`}`

სააუდიტორიო სამუშაო:

1. შექმენით მართკუთხედის კლასი ღია მონაცემებით: მართკუთხედის სიგრძე და სიგანე; კლასის ფუნქციებია: უპარამეტრო კონსტრუქტორი, პარამეტრებიანი კონსტრუქტორი, ფართობის და პერიმეტრის გამოთვლის ფუნქციები. პროგრამაში შექმენით კლასის ორი ობიექტი-მართკუთხედი, პირველი – უპარამეტრო კონსტრუქტორის, ხოლო მეორე – პარამეტრებიანი კონსტრუქტორის საშუალებით. შემდეგ დაბეჭდეთ ორივე მართკუთხედის გვერდები, პერიმეტრი და ფართობი.

```
#include <iostream>
using namespace std;
class Rectangle
{
   public:
     double length, width;
     Rectangle();
     Rectangle(double, double );
     double Area();
    double Perimeter();
    void printRectangle();
};
// კლასის ფუნქციების იმპლემენტაცია
Rectangle::Rectangle()
{
   length =3, width =4;
}
Rectangle::Rectangle(double a, double b)
{
   length =a, width =b;
}
double Rectangle::Area()
{
   return  length * width;
}
double Rectangle::Perimeter()
```

```
{
   return 2 * (length + width);
}
void Rectangle::printRectangle()
{
   cout<<"marTkuTxedis gverdebia ";
   cout<< length <<" "<< width <<endl;
   cout<<"farTobi = "<<Area()<<endl;
   cout<<"perimetri = "
       <<Perimeter()<<endl;
}
int main(){
   Rectangle A;
   cout<<"A ";
   A.printRectangle();
   Rectangle B(5,6);
   cout<<"B ";
   B.printRectangle();
   return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
A marTkuTxedis gverdebia 3 4
farTobi = 12
perimetri = 14
B marTkuTxedis gverdebia 5 6
farTobi = 30
perimetri = 22
Press any key to continue . . .
```

2. Rectangle კლასის აღწერაში ორივე კონსტრუქტორი შეცვალეთ ერთით – კონსტრუქტორით, რომლის პარამეტრებსაც მინიჭებული აქვთ მნიშვნელობები. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ორ ობიექტზე – მართკუთხედზე, დაბეჭდეთ მათი გვერდები, ფართობები და პერიმეტრი. შემდეგ შეცვალეთ პირველი მართკუთხედის სიგანე და მეორე მართკუთხედის ორივე გვერდი და კვლავ დაბეჭდეთ მართკუთხედების ფართობები და პერიმეტრები.

```
#include <iostream>
using namespace std;
class Rectangle
{
   public:
     double length, width;
     Rectangle(double =3, double =4);
     double Area();
     double Perimeter();
     void printRectangle();
};
// კლასის ფუნქციების იმპლემენტაცია
Rectangle::Rectangle(double a, double b)
{
   length =a, width =b;
}
double Rectangle::Area()
{
   return  length * width;
}
double Rectangle::Perimeter()
```

```
{
   return 2 * (length + width);
}
void Rectangle::printRectangle(){
  cout<<"marTkuTxedis gverdebia ";
  cout<< length <<" "<< width <<endl;
  cout<<"farTobi = "<<Area()<<endl;
  cout<<"perimetri = "
      <<Perimeter()<<endl;
}
int main()
{
   Rectangle A, B(5,7);
   cout<<"A ";
   A.printRectangle();
   cout<<"B ";
   B.printRectangle();
   A.width = 3.5;
   cout<<"A marTkuTxedis farTobi = "
       <<A.Area()<<endl
       <<"perimetri = "<<A.Perimeter()<<endl;
   B.length = 9;  B.width = 5.5;
   cout<<"B marTkuTxedis farTobi = "
       <<B.Area()<<endl
       <<"perimetri = "<<B.Perimeter()<<endl;
   return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

```
A marTkuTxedis gverdebia 3 4
farTobi = 12
perimetri = 14
B marTkuTxedis gverdebia 5 7
farTobi = 35
perimetri = 24
A marTkuTxedis farTobi = 10.5
perimetri = 13
B marTkuTxedis farTobi = 49.5
perimetri = 29
Press any key to continue . . .
```

3. შექმენით კლასი Sea მონაცემებით: ზღვის დასახელება და სიღრმე. კლასში გაითვალისწინეთ ფუნქციები: პარამეტრებიანი კონსტრუქტორი, ზღვის მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია. Seas.txt ფაილი შეიცავს ინფორმაციას სამი ზღვის შესახებ. პროგრამაში შექმენით კლასის სამი ობიექტი – Seas.txt ფაილის ინფორმაციის საფუძველზე და შემდეგ დაბეჭდეთ უდიდესი სიღრმის მქონე ზღვის მონაცემები.

```
#include <iostream>
#include <string>
#include <fstream>
using namespace std;
class Sea
{
  public:
    string name;
    int depth;
    Sea(string n, int d) : name(n),depth(d){ }
    void printSea();
};
```

```
void Sea::printSea()
{
    cout<<name<<" Sea - "
        <<depth<<endl;
}
int main()
{
   string N; int D;
   ifstream fin("Seas.txt");
   fin>>N>>D;
   Sea A(N, D);
   fin>>N>>D;
   Sea B(N, D);
   fin>>N>>D;
   Sea C(N, D);
   cout<<"Maximum depth have\n";
   Sea max = A;
   if(B.depth > max.depth)
      max = B;
   if(C.depth > max.depth)
      max = C;
   max.printSea();
   cout<<endl;
   return 0;
}
```

პროგრამის შესრულების შედეგია:

Seas.txt ფაილი	გამოტანის ეკრანი
Black 2938 Grenlandiis 4846 Norwegian 3860	Maximum depth have Grenlandiis Sea - 4846 Press any key to continue . . .

4. იგივე ამოცანაში უდიდესი სიღრმის მქონე ზღვის არჩევა მოახდინეთ კლასის ტიპზე პოინტერის გამოყენებით.

მითითება: კლასის ტიპზე პოინტერს უნდა მივანიჭოთ ობიექტის მისამართი, ხოლო მიმთითებლის გამოყენებით კლასის მონაცემებზე და ფუნქციებზე წვდომისატვის უნდა ვისარგებლოთ **->** ოპერატორით.

```
#include <iostream>
#include <string>
#include <fstream>
using namespace std;
class Sea
{
  public:
     string name;
     int depth;
     Sea(string n, int d) : name(n),depth(d){ }
      void printSea();
};
void Sea::printSea()
{
    cout<<name<<" Sea - "
      <<depth<<endl;
}
int main()
{
```

```
    string N; int D;
    ifstream fin("Seas.txt");
    fin>>N>>D;
    Sea A(N, D);
    fin>>N>>D;
    Sea B(N, D);
    fin>>N>>D;
    Sea C(N, D);

    cout<<"Maximum depth have\n";
    Sea * max = &A;
    if(B.depth > max->depth)
        max = &B;
    if(C.depth > max->depth)
        max = &C;
    max->printSea();
    cout<<endl;
    return 0;
}
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

1. კლასის საშუალებით შემოიღეთ მონაცემთა ტიპი, რომელიც აღწერს ქალაქს. კლასში გაითვალისწინეთ: მონაცემები – ქალაქის სახელი, მოსახლეობის რაოდენობა, დაკავებული ტერიტორიის ფართობი; კლასის ფუნქციები – პარამეტრებიანი კონსტრუქტორი, ქალაქის მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ორ ობიექტზე – ქალაქზე, შემდეგ დაბეჭდეთ მეტი მოსახლეობის მქონე ქალაქის ინფორმაცია.

2. შექმენით კლასი `Triangle`, რომლის მონაცემებია სამკუთხედის სამი გვერდი. კლასში იქონიეთ ფუნქციები – უპარამეტრო კონსტრუქტორი; პარამეტრებიანი კონსტრუქტორი; მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია; სამკუთხედის ფართობის გამოთვლის ფუნქცია. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ორ ობიექტზე – სამკუთხედზე, დაბეჭდეთ მათი მონაცემები და შემდეგ შეადარეთ მათი ფართობები (დაბეჭდეთ სათანადო გზავნილი).

3. შექმენით კლასი `Circle`, რომლის მონაცემებია წრის ცენტრის კოორდინატები და რადიუსი. კლასში იქონიეთ ფუნქციები – უპარამეტრო კონსტრუქტორი; პარამეტრებიანი კონსტრუქტორი; მონაცემების ბეჭდვის ფუნქცია; წრეწირის სიგრძის გამოთვლის ფუნქცია. პროგრამაში გააკეთეთ განაცხადი კლასის ორ ობიექტზე – წრეზე ისე, რომ პირველს ჰქონდეს გულიცხმობით მინიჭებული მონაცემები, მეორეს კი – თქვენ მიერ კლავიატურიდან შემოტანილი მონაცემები. დაბეჭდეთ წრეების მონაცემები და შემდეგ შეადარეთ მათი წრეწირების სიგრძეები (დაბეჭდეთ სათანადო გზავნილი).

4. შექმენით კლასი `Square`. კლასში გაითვალისწინეთ: მონაცემი – კვადრატის გვერდი; კლასის ფუნქციები – კონსტრუქტორი, რომლის პარამეტრსაც მინიჭებულია აქვს საწყისი მნისვნელობა; კვადრატის ფართობის გამოთვლის ფუნქცია; კვადრატის პერიმეტრის გამოთვლის ფუნქცია; კვადრატის დიაგონალის გამოთვლის ფუნქცია. პროგრამაში აღწერეთ კლასის ორი ობიექტი ისე, რომ პირველს ჰქონდეს გულიცხმობით მინიჭებული მონაცემი, მეორეს კი – კლავიატურიდან შემოტანილი მონაცემი. დაბეჭდეთ ორივე კვადრატის მონაცემი, ფართობი და პერიმეტრი. შემდეგ შეადარეთ კვადრატების დიაგონალები და დაბეჭდეთ სათანადო გზავნილი.

5. შექმენით კლასი `Student` შემდეგი მონაცემებით – სტუდენტის სახელი, გვარი და რეიტინგის აღმნიშვნელი ასო. კლასის ფუნქციებია – კონსტრუქტორი, რომლის პარამეტრებსაც მინიჭებულია აქვთ საწყისი მნისვნელობები; ინფორმაციის ბეჭდვის ფუნქცია. პროგრამაში აღწერეთ კლასის ორი ობიექტი ისე, რომ პირველს ჰქონდეს ნაგულისხმევი მონაცემები, მეორეს კი – თქვენ მიერ კლავიატურიდან შემოტანილი

მონაცემები. დაბეჭდეთ ორივე სტუდენტის მონაცემები. შეუცვალეთ პირველ სტუდენტს რეიტინგის მონაცემი და შემდეგ დაბეჭდეთ მის შესახებ ინფორმაცია.

6. შექმენით კლასი `Student` მონაცემებით: სტუდენტის სახელი, გვარი, ასაკი და სქესი. კლასში გაითვალისწინეთ თქვენი აზრით საჭირო ფუნქციები. დაწერეთ პროგრამა, რომელშიც 3 სტუდენტის მონაცემების შეტანა ხდება კლავიატურიდან და შემდეგ იბეჭდება:
   ა) სტუდენტთა შორის რამდენია გოგონა;
   ბ) ყველაზე უფროსი სტუდენტის გვარი-სახელი;
   გ) ყველაზე ახალგაზრდა ვაჟის ინფორმაცია. თუ სტუდენტებს შორის ვაჟი არ არის, დაიბეჭდოს სათანადო გზავნილი.

7. `rectangles.txt` ფაილში ჩაწერილია სამი მართკუთხედის მონაცემები – თითოეულის სიგრძე და სიგანე. დაწერეთ პროგრამა, რომელიც დაბეჭდავს უმცირესი ფართობის მქონე მართკუთხედის მონაცემებს და თვით ფართობს. ამისათვის შექმენით მართკუთხედის კლასი. კლასში გაითვალისწინეთ თქვენი აზრით საჭირო ფუნქციები. უმცირესი ფართობის მქონე მართკუთხედის დასადგენად გამოიყენეთ კლასის ტიპზე პოინტერი.

8. `data.txt` ფაილში ჩაწერილია სამი სახლის მონაცემები – თითოეულის სართულების რაოდენობა, სადარბაზოების რიცხვი და ყოველ სართულზე ბინების რაოდენობა. დაწერეთ პროგრამა, რომელიც `answer.txt` ფაილში დაბეჭდავს იმ სახლის სრულ ინფორმაციას, რომელშიც ყველაზე მეტი ბინაა. ამისათვის შექმენით სახლის კლასი, რომელშიც იქონიეთ თქვენი აზრით საჭირო ფუნქციები. ამოცანის ამოხსნისას გამოიყენეთ კლასის ტიპზე პოინტერი.

ლაბორატორიული მეცადინეობა № 13

ლაბორატორიული სამუშაოს აღწერა:

- მრავალფაილიანი პროექტი (multifile project) კლასის მონაწილეობით

ლაბორატორიული სამუშაო:

ამოცანა 1. შექმენით მართკუთხედის კლასი ღია წევრებით. ველები: მართკუთხედის სიგრძე და სიგანე; მეთოდები: უპარამეტრო კონსტრუქტორი, პარამეტრებიანი კონსტრუქტორი, ფართობის გამოთვლის ფუნქცია, პერიმეტრის გამოთვლის ფუნქცია.

პროგრამაში შექმენით კლასის ორი ობიექტი-მართკუთხედი, პირველი – უპარამეტრო კონსტრუქტორის, ხოლო მეორე – პარამეტრებიანი კონსტრუქტორის საშუალებით. შემდეგ დაბეჭდეთ ორივე მართკუთხედის მონაცემები.

ამოხსნა. პრაქტიკულ მეცადინეობებზე ჩვენ ვხსნიდით ასეთ ამოცანებს მარტივი ერთფაილიანი პროექტის სახით, ვათავსებდით რა განაცხადს კლასზე `main()`-ის წინ, ხოლო კლასის მეთოდების იმპლემენტაციას - კლასის განაცხადში ან კლასის გარეთ. ჩვენი ამოცანისთვის პროექტის ერთადერთ ფაილს ექნება ასეთი სახე:

```
#include <iostream>
using namespace std;
class Rectangle{
   public:
     double length, width;
     Rectangle();
     Rectangle(double, double );
     double Area();
     double Perimeter();
     void printRectangle();
 };
 // კლასის რეალიზების ნაწილი
 Rectangle::Rectangle() {
    length =3, width =4;
 }
 Rectangle::Rectangle(double a, double b) {
    length =a, width =b;
 }
 double Rectangle:: Perimeter() {
    return  2*(length + width);
 }
 double Rectangle::Area() {
    return  length * width;
 }
 void Rectangle::printRectangle(){
   cout<<"marTkuTxedis gverdebia ";
   cout<< length <<" "<< width <<endl;
   cout<<"farTobi = "<<Area()<<endl;
   cout<<"perimetri = "<< Perimeter()<<endl;
 }
int main(){
   Rectangle A;
   cout<<"A ";
   A.printRectangle();
   Rectangle B(5,6);
   cout<<"B ";
   B.printRectangle();
   return 0;
}
```

ასეთ მიდგომას აქვს რამდენიმე სერიოზული ნაკლი. აღვნიშნოთ ზოგიერთი:

- კოდი ნაკლებად დაცულია: კლასის სახელი, ცვლადების და ფუნქციების სახელები ნაკლებად კონტროლდება კომპილერის მიერ. მაგალითად, როდესაც ქვემოთ გავაკეთებთ კლასს Visual Studio-ს საშუალებებით, კომპილერი არ მოგვცემს `Rectangle` სახელის დარქმევის საშუალებას, რადგან ეს სახელი რეზერვირებულია (ასეთი კლასი უკვე არსებობს).
- როდესაც პრაქტიკული ღირებულების მქონე ამოცანაში იქმნება კლასი, მისი ზომები და სირთულე ბევრად აღემატება აქ განხილული მაგალითებისას. ამ შემთხვევებში Visual Studio-ს გარემოს დახმარება შეუცვლელია. მით უმეტეს, რომ იგი გვეხმარება ცვლადებისა და ფუნქციების შექმნაში, თვითონ გაანაწილებს სხვადასხვა საქაღალდეში header და cpp ფაილებს და სხვა.

შევქმნათ ამ ერთფაილიანი პროექტის ეკვივალენტური მრავალფაილიანი პროექტი. ამისთვის განვახორციელოთ შემდეგი მოქმედებები:

ვთქვათ უკვე შექმნილი გვაქვს ცარიელი პროექტი სახელით A და საქაღალდეში Source Code გახსნილი გვაქვს .cpp ფაილი (მაგალითად) სახელით main. ამ ფაილის შექმნა ყველაზე ადვილია, საკმარისია

```
#include <iostream>
```

სტრიქონის შემდეგ დავამატოთ

```
#include “Rect.h”
```

რაც ნიშნავს, რომ ვამატებთ ჩვენს მიერ შექმნილი კლასის ინტერფეისს, რომელიც სხვა ფაილშია და იმიტომ ჩართვა სჭირდება.

ახლა შევქმნათ კლასი და მისი იმპლემენტაცია. ამაში ჩვენ მნიშვნელოვნად ვისარგებლებთ იმ ყალიბებით, რაც უკვე გამზადებულია Visual Studio-ს გარემოში პროგრამისტების დასახმარებლად.

მივიყვანოთ მაუსი პროექტის სახელთან “A” (იგივე Solution Exsplorer ფანჯარაში), დავაჭიროთ მაუსის მარჯვენა ღილაკს ხელი და გადავიდეთ პუნქტზე Add, შემდეგ ავირჩიოთ სტრიქონი Class. გაიხსნება ფანჯარა Add Class – A. Installed Templates სვეტში მოვნიშნოთ C++ სტრიქონი და დავაჭიროთ Add-ს (მარჯვენა ქვედა კუთხეში). გაიხსნება Generic C++ Class Wizard – A. ტექსტურ ველში სახელით Class Name ჩაწერეთ თქვენი კლასის სახელი Rect (შეგიძლიათ სცადოთ სრული სახელის Rectangle –ის ჩაწერა, რასაც ვერ შევძლებთ, რადგან ეს სახელი რეზერვირებულია). ტექსტურ ველებში სახელებით .h-file და .cpp-file ავტომატურად ჩაიწერება Rect.h და Rect.cpp. Access ჩამონათვალში დავტოვოთ გულისხმობის პრინციპით ჩაწერილი public და დავაჭიროთ Finish ღილაკს.

შედეგად, ჩვენს პროექტს დაემატა ორი ფაილი: Rect.h და Rect.cpp. პირველი შეიცავს Rect კლასზე განაცხადის ესკიზს, მომზადებული კონსტრუქტორის და დესტრუქტორის პროტოტიპებით, ხოლო მეორე ფაილი წარმოადგენს კლასის იმპლემენტაციას და აქაც არის კონსტრუქტორის და დესტრუქტორის იმპლემენტაციის ჩანასახები.

ახლა, კლასს დავამატოთ წევრები: ველები და მეთოდები (ანუ ცვლადები და ფუნქციები). Class View ფანჯარაში (რომელიც, თუ უკვე არაა გახსნილი, იხსნება View მენიუდან), მივიყვანოთ მაუსი პროექტის სახელზე “A”, ჩამოვშალოთ კლასის სახელი Rect. ახლა მივიყვანოთ მაუსი კლასის სახელზე Rect, დავაჭიროთ მარჯვენა ღილაკს და ავირჩიოთ Add-> Add Variable. იხსნება Add Member Variable Wizard - A ფანჯარა. წვდომის (Access) ველში დავტოვოთ public. Variable Type ველში ავირჩიოთ მონაცემის ტიპი. იმ კლასისთვის, რომელსაც ჩვენ ვქმნით, გვჭირდება ორი ველი – ორი ნამდვილი ცვლადი, სიგრძე და სიგანე. შევქმნათ პირველი მათგანი. ჩამოვშალოთ ველი სახელით Variable Type და ავირჩიოთ ტიპი

double. ტექსტურ ველში, რომელიც გამოყოფილია ცვლადის სახელისთვის, ჩავწეროთ length. შეგვიძლია ამ ცვლადს დავურთოთ კომენტარიც, ეს სავალდებულო არაა (როგორც გნებავთ). დავაჭიროთ დამთავრების (Finish) ღილაკს და დავათვალიეროთ ფაილებში Rect.h და Rect.cpp მომხდარი ცვლილებები.

ანალოგიური მოქმედებებით შევქმნათ ცვლადი

```
double width;
```

კვლავ დავათვალიეროთ ფაილებში Rect.h და Rect.cpp მომხდარი ცვლილებები. ყურადღება მივაქციოთ უპარამეტრო კონსტრუქტორის ცვლილებას.

ახლა შევქმნათ კლასის მეთოდები.

Class View ფანჯარაში მარჯვენა ღილაკი დავაჭიროთ კლასის სახელს, ავირჩიოთ Add-> Add Function. იხსნება Add Member Function Wizard - A ფანჯარა, რომელიც ინტუიციურად ადვილად გამოსაყენებელია. დავიწყოთ

```
double Area();
```

ფუნქციის შექმნით. დასაბრუნებელ მნიშვნელობად (Return type), ცხადია ავიღოთ double, ფუნქციის სახელად Area, არგუმენტები ამ ფუნქციას არ სჭირდება და ამიტომ დავაჭერთ დამთავრების ღილაკს.

თუ ახლა კვლავ დავათვალიერებთ Rect.h და Rect.cpp ფაილებს, ვნახავთ რომ კლასში შეიქმნა ფუნქციის პროტოტიპი, ხოლო იმპლემენტაციის ფაილში – იმპლემენტაციის ესკიზი. დავასრულოთ ეს ესკიზი. ამისთვის, ფუნქციის ტანი შევცვალოთ ისე, რომ ფუნქციამ მიიღოს სახე

```
double Rect::Area()
{
    return  length * width;
}
```

და დავიმახსოვროთ ცვლილებები.

ანალოგიურად გავაკეთოთ Perimeter ფუნქცია.

განსაკუთრებით საინტერესოა ცხადი (პარამეტრებიანი) კონსტრუქტორის შექმნა, რადგან მას არა აქვს დასაბრუნებელ;ი მნიშვნელობა, მაგრამ აქვს არგუმენტები.

დავიწყოთ ისევ Add-> Add Function-ის არჩევით. Add Member Function Wizard - A ფანჯრის საშუალებით შევქმნათ

```
Rect::Rect(double a, double b)
{
    length =a, width =b;
}
```

ფუნქცია. დასაბრუნებელ მნიშვნელობის ველი (Return type) დავტოვოთ ცარიელი (ანუ წავშალოთ რაც იქ წერია). ფუნქციის სახელად ავიღოთ კლასის სახელი Rect. შევადგინოთ არგუმენტები (პარამეტრების) სია. დავიწყოთ პირველი პარამეტრიდან. პარამეტრის ტიპად ავიღოთ double, პარამეტრის სახელად a. ამ მომენტში გააქტიურდება Add ღილაკი, რადგან პირველი პარამეტრი უკვე მზადაა დასამატებლად. დავაჭიროთ ამ ღილაკს და ვნახავთ, რომ პირველი პარამეტრი გადავა მარჯვენა ფანჯარაში, რომელსაც ჰქვია პარამეტრების სია. ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ ტიპის და სახელის ველების გამოყენება უკვე შეიძლება მეორე პარამეტრისთვის. პარამეტრის ტიპად ავიღოთ double, პარამეტრის სახელად b.

თუ ახლაც დავათვალიეროთ ფაილებში Rect.h და Rect.cpp მომხდარი ცვლილებებს, ვნახავთ, რომ კლასში შეიქმნა კონსტრუქტორის პროტოტიპი, ხოლო იმპლემენტაციის ფაილში –

კონსტრუქტორის იმპლემენტაციის ესკიზი. დავასრულოთ ეს ესკიზი. ამისთვის, ფუნქციის ტანი შევცვალოთ ისე, რომ მივიღოთ

```
Rect::Rect (double a, double b)
{
    length =a, width =b;
}
```

printRectangle ფუნქვია იქმნება ანალოგიურად.
ამით კლასების შექმნა დასრულებულია. ახლა საჭიროა მთავარი main() ფუნქციის დაწერა. საბოლოოდ ჩვენი მრავალფაილიანი პროექტის ფაილები მიიღებს სახეს:

```
// Rect.h (header) ფაილი
#pragma once
class Rect
{
   public:
      Rect(void);
      ~Rect(void);
      double length;
      double width;
      double Area(void);
      double Perimeter(void);
      Rect(double a, double b);
      void printRectangle(void);
};
```

```
// Rect.cpp კლასის იმპლემენტაციის ფაილი
#include "Rect.h"
#include <iostream>
using namespace std;

Rect::Rect(void)
      : length(0)
      , width(0)
{
}

Rect::~Rect(void)
{
}

double Rect::Area(void)
{
      return length * width;
}

double Rect::Perimeter(void)
{
      return 2 * (length + width);
}

Rect::Rect(double a, double b)
{
      length =a, width =b;
}
```

```
void Rect::printRectangle(void)
{
      cout << "martkutxedis gverdebia ";
      cout << length << " " << width << endl;
      cout << "fartibi = " << Area() <<endl;
      cout << "perimetri = " << Perimeter() <<endl;
}
```

```
// main.cpp ფაილი
#include <iostream>
#include "Rect.h"
using namespace std;

int main()
{
      Rect A;
      cout << "A: ";
      A.printRectangle();

      Rect B(5,6);
      cout << "B: ";
      B.printRectangle();

      return 0;
}
```

დამოუკიდებელი სამუშაო:

მე -13 პრაქტიკული მეცადინეობის ყველა დავალებისთვის დაწერეთ, გამართეთ და შეასრულეთ შესაბამისი პროგრამები.